# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 ოქტომბერი 2008 №232 (3456) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ხდება დახურულ კარს მიღმა?

### ლევან ყენიას მცირე ტრავმა დიდ პრობლემად არ იქცა



მხოლოდ ათში ათი წუთით

## ქვიპროსთან ბლატერიც მოდის

### ფიფას პრეზიდენტი საქართველოში უცხო არ არის





**ქორქიკაშვილმა სპარტაკი დატოვა**

უმაღლეს ლიგაში მწვრთნელს ეძებენ 4

**უეფამ წილი იყარა**

ასეთი ჯგუფები არასდროს ყოფილა 8



**როცა მწვრთნელიც გაკვირვებულია**

მსოფლიოს ჩემპიონი ძიუდოისტები სამშობლოში დაბრუნდნენ 14



[illegible] ფოტო

# კვიპროსთან ბლატერიც მოდის
## მერიაში ითათბირეს: ყველაფერი კარგად იქნება

**კვიპროსთან** და ბულგარეთთან საქართველოს ნაკრების მოახლოებული შესარჩევი მატჩების სათანადოდ ორგანიზებისთვის, ასევე ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის უმაღლეს დონეზე სამასპინძლოდ, გუშინ თბილისის მერიას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, პროფლიგის გენმდივანი პაატა ბურჭალიანი, ფედერაციის მარკეტინგის მენეჯერი დიმიტრი ბოკერია და უსაფრთხოების ოფიცერი გია ისიანი ესტუმრნენ. მათ მასპინძლობა ქალაქის ვიცე-მერმა ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა გაუწია. იქვე იყვნენ ყველა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებიც — სწორედ მათ უნდა უზრუნველჰყონ 11 და 15 ოქტომბრის მატჩებზე წესრიგი და ფიფას პრეზიდენტის უსაფრთხოება.

შეხვედრაზე ითქვა, რომ კვიპროსთან და ბულგარეთთან მატჩებისთვის „ეროვნულზე" ანშლაგია მოსალოდნელი და ყველა სამსახური მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყოს. 11 და 15 ოქტომბერს ეროვნული სტადიონის მიმდებარე ქუჩებზე სამანქანო მოძრაობა შეწყდება და იქაურობა საგანგებო ბარიერებით შემოისაზღვრება. სტადიონის ყველა ჭიშკარი მატჩების დაწყებამდე სამი საათით ადრე გაიღება და ქომაგებისადმი ორგანიზატორთა თხოვნაა, რომ ბილეთების პატრონები სტადიონზე იქითა მხრიდან შევიდნენ, რომელი ტრიბუნაც მათ ბილეთზეა მითითებული. ხოლო საამისოდ განსხვავებული ფერების ბილეთებია დაბეჭდილი.

ეროვნულ სტადიონზე და ახლომახლო მობილიზებული იქნებიან საპატრულო პოლიციისა და სპეცრაზმის ნაწილები, ასევე დაცვის კერძო სამსახურების თანამშრომლები...

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი კი თბილისში 11 ოქტომბერს ჩამოვა და უკან მეორე დღეს გაფრინდება.

— თავისთავად, ფიფას პრეზიდენტის ვიზიტი ჩვენი ფეხბურთისთვის განსაკუთრებულია. ზეპ ბლატერის სტუმრობა ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერის მანიშნებელიცაა და, ცხადია, ჩვენი ფეხბურთისაც. ბლატერის ჩამოსვლა პირადი თხოვნით ხდება და რაიმე საგანგებო ვითარებას არ უკავშირდება. ფიფას პრეზიდენტი ესტუმრება ჩვენი ნაკრების საგურამოს ბაზას, დაესწრება საქართველო — კვიპროსის მატჩს, დაგეგმილია ასევე მისი შეხვედრები უმაღლეს დონეზე და პრესკონფერენციაც — გვითხრა მერიაში ნოდარ ახალკაცმა.

მოკლედ ფედერაციას, მერიას, საქალაქო სამსახურებს წინ მძიმე დღეები ელით, და როგორც აქამდე, ალბათ, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

ამ ორი მატჩის შედეგი ვიკითხოთ, თორემ ორგანიზაციის მხრივ პრობლემები არც უნდა იყოს...

**ქოჩა ინასარიძე**

# იტალიას იუვენტუსი მოაკლდა

**იტალიის** ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სტუმრად ბულგარეთთან და შინ ჩერნოგორიასთან მატჩებში ტურინის „იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი და ნახევარმცველი მაურო კამორანეზი ვერ დაეხმარებიან.

ექიმების გადაწყვეტილებით, ორივე ფეხბურთელს კუნთები აწუხებს და დასვენება სჭირდებათ.

სავარაუდოდ, ბუფონი მოედანზე ერთი თვე ვერ გავა, ხოლო კამორანეზი 15-20 დღე იუქმებს.

**კახა შალამბერიძე**

# ანასტასიადისის კვიპრო-სია



**11 ოქტომბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კვიპროსს დაუპირისპირდება. შეხვედრა თბილისში, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და 20.30 საათზე დაიწყება.

კვიპროსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანგელოს ანასტასიადისმა უკვე დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოსთან და ირლანდიასთან (15 ოქტომბერს) მატჩებისთვის მოემზადებიან.

*მეკარეები:* *მიხაელ მორფისი (აპოელ), ანტონის გიორგალიდისი (ომონია), სოფრონის ავგუსტი (აპოლონი);*

*მცველები:* *ელიას ხარალამბუსი (ომონია), ლამბროს ლამბროუ (ანორთოსისი), ანდრეას კონსტანტინუ (ანორთოსისი), გეორგიოს პანაგი (ანორთოსისი);*

*ნახევარმცველები:* *ხრისოსტომოს მიქაილი (აპოელ), კონსტანტინოს ხალამბიდისი (აპოელ), მარიოს ილია (აპოელ), ალექსანდროს გარპოცისი (აპოლონი), კონსტანტინოს მაკრიდისი (მ. დონეცკი, უკრაინა), ხრისტაკის მარაგკოსი (აპოლონი), მარიოს ნიკოლაუ (პანიონიოსი, საბერძნეთი), კირიაკოს პავლოუ (ომონია);*

*თავდამსხმელები:* *იოანის ოკასი (ომონია), მიქაელ კონსტანტინუ (ირაკლისი, საბერძნეთი), იოასუმის იოასუმი (ეთნიკოსი), ეფტატიოს ალონეფიტისი (ომონია), დიმიტრის ხრისტოფი (ომონია), ანდრეას პაპატანასიუ (აპოელი).*

**კახა შალამბერიძე**

# ბერბატოვმა იცის: თბილისში სხვა საქართველო იქნება
## ბულგარელთა პროგრამა: სულ ცოტა, ოთხი ქულა ორ მატჩში





**ბულგარეთის** ნაკრების თავკაცი პლამენ მარკოვი მოახლოებულ ორ შესარჩევ მატჩში, სულ ცოტა, ოთხი ქულის აღებას გეგმავს. სხვათა შორის, მარკოვის მსგავსი გეგმები აქვთ სლავთა მანჩესტერელ ლიდერ დიმიტარ ბერბატოვსა და გერმანული „კოტბუსის" დიმიტარ რანგელოვს.

ცხადია, ბულგარელთა გათვლა იოლია: ფრე იტალიასთან და მოგება საქართველოსთან.

მარკოვმა უკვე შეკრიბა ნაკრები და ცარსკოე სელოს ბაზაზე ავარჯიშებს. მწვრთნელმა 21-წლამდელთა ნაკრებიდან გადაიყვანა ერთი ფეხბურთელი: ფრანგული „სტრასბურის" ფორვარდი ემილ გრიგოროვი, რომელიც დისკვალიფიცირებული სტანისლავ ანგელოვის („კოტბუსში" თამაშობს) შემცვლელად დასჭირდა. ანგელოვს მხოლოდ იტალიასთან თამაშის უფლება არ აქვს, თორემ თბილისში შეუძლია.

მიკროტრავმები აქვს ბულგარელთა ორ მცველს: ინგლისური „ლესტერის" ალექსანდრ ტუნჩევსა და რუსული „ტერეკის" ვალენტინ ილიევს. ასევე ჯერ ვერ ვარჯიშობს გერმანული „ჰანოვერის" ნახევარმცველი ჩავდარ იანკოვი.

„ჩვენს ჯგუფში ყველას შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. ვფიქრობ, იტალიის გარდა, ყველა ნაკრებს დაახლოებით თანაბარი შანსი აქვს" — თქვა მარკოვმა.

ბერბატოვმა კი საქართველოს ნაკრებზეც თქვა: „მათ შინ ჯერ არ უთამაშიათ. ირლანდიასთან გერმანიაში ჰქონდა მატჩი და, ბუნებრივია, გულშემატკივრების მხარდაჭერა აკლდათ, ჩვენთან კი ქომაგობა ეყოლებათ და ალბათ უკეთაც ითამაშებენ".

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

| კონფერენსლიგა |
|---|
| ბაროუ 0:0 ბარტონი |
| კემბრიჯი 1:0 ლუისი |
| ძროული 2:2 ფორესტ გრინი |
| ისტბურნი 1:2 კეტერინგი |
| ნორთსვიჩი 1:1 კიდერმინსტერი |
| რაშდენი 1:0 გრეისი |
| სალისბერი 1:3 ალტრინჩემი |
| სტივენეიჯი 3:2 მენსფილდი |
| უოკინგი 1:1 ვეიმუთი |
| რექსემი 3:1 იორკი |
| LEAGUE TROPHY |
| ჩესტერი 1:1 (1:3პენ) მორეკემბი |
| პიტერბრო 0:1 დაგენემი |
| უიკომბი 0:7 შრიუსბერი |
| ბრაიტონი 2:2 (5:4პენ) ლეიტონი |
| სკანთორპი 2:1 გრიმსბი |
| ბერი 1:0 სტოკპორტი |
| ჩელტენემი 1:2 უოლსოლი |
| დარლინგტონი 1:0 ჰადერსფილდი |
| ჯილინგემი 0:1 კოლჩესტერი |
| ჰერეფორდი 1:2 სუინდონი |
| ლუთონი 2:2 (4:3პენ) ბრენტფორდი |
| მილტონი 0:1 ბორნმუთი |
| როჩდეილი 2:2 (4:3პენ) კარლაილი |

### ჩეხეთი

| თასი |
|---|
| ჟიჰლავა 1:1 (3:5პ) ზლინი |

### მაკედონია

| პრვა ლიგა |
|---|
| ვარდარი 2:0 ტურნოვო |

### ჩრდ. ირლანდია

| პრემიერლიგა |
|---|
| ბანგორი — ნევრი სიტი |
| კოლერაინი — კლიფტონვილი |
| კრუზეიდერსი — დანგანონი |
| გადაიდო |

### სერბეთი

| სუპერლიგა |
|---|
| ბორაცი 1:2 ბანატი |

### პორტუგალია

| სუპერლიგა |
|---|
| სეტუბალი 0:2 მარიტიმუ |

### შვედეთი

| სუპერეტა |
|---|
| ფალკენბერგი 2:1 ლანდსკრონა |
| იორგრიტე 4:2 ენჩიოპინგი |

### ირლანდია

| პრემიერდივიზიონი |
|---|
| შემროკი 2:2 ბრეი |
| I დივიზიონი |
| ეტლოუნი — ფინგალი გადაიდო |

### პოლონეთი

| თასი. A ჯგუფი |
|---|
| გლივიცე 3:1 სლასკი |
| ლეხია 0:1 იაგელონია |
| B ჯგუფი |
| რუხი 3:2 ოდრა |
| D ჯგუფი |
| პოლონია 1:0 ლოძი |

### ევროპის 2009 წლის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

| შესარჩევი მატჩები |
|---|
| ფარერები 0:1 ბელარუსი |
| მოლდოვა 0:1 ლატვია |
| რუსეთი 1:0 იტალია |
| ესპანეთი 0:2 შვეიცარია |
| ხორვატია 4:0 ყაზახეთი |
| ესტონეთი 0:5 ბელგია |

### უელსი

| ლიგის თასი |
|---|
| კონაჰი 2:1 პრესტატინი |
| ჰავერფორდვესტი 1:1 აბერისტვითი |
| ლანელი 2:4 პორტ ტალბოტი |
| ნიუთაუნი 2:3 დრუიდსი |
| პორთმადოგი 2:3 ბანგორი |
| ველსპული 0:2 რილი |

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება
აფფ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ქართული ფეხბურთის ქომაგის
**ვახტანგ დუმბაძის**
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს



# ქუპერს ყველა აქ ჰყავს
## ყენიას ტრავმა საშიში არ არისო

**სამ** დღეში საქართველოს ეროვნული ნაკრები მუნდიალის შესარჩევი ციკლის პირველ ნამდვილ საშინაო მატჩს გამართავს.

საკვიპროსოდ და საბულგარეთოდ ჰექტორ რაულ კუპერის სიაში 23 ფეხბურთელია და უკლებლივ ყველა მათგანი უკვე თბილისშია.

ხშირად ხდება, ნაკრები პირველივე დღეს სრულფასოვნად ვერ იკრიბება-ხოლმე, მაგრამ გუშინ ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი მოხდა.

კუპერმა საგურამოს ბაზაზე ორი ვარჯიში გამართა. დილით ერთსაათიანი იყო — უმეტესად ფიზიკურ დატვირთვებს დაეთმო, ცოტაც ბურთით წაივარჯიშეს.

საღამოს ვარჯიში კი საათნახევარი გაგრძელდა — ტაქტიკური სქემების დამუშავება და კარში დარტყმები.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა, ლევან ყენიაა. მიზეზი მიკროტრავმაა — 17 წლის შემტევს გელზენკირხენის „შალკეში" ვარჯიშზე ფეხი გადაუბრუნდა.

მოკლედ, არანაირი საფრთხე არ არის, რომ ყენიამ კვიპროსთან და ბულგარეთთან ვერ ითამაშოს.

შეგახსენებთ: 10 ოქტომბრამდე ყველა ვარჯიში დახურული იქნება, 10-ში დილით კი მხოლოდ 10 წუთით გაიხსნება ჟურნალისტებისთვის.

ილია ნანოგაშვილი

# ხვიჩა ქასრაშვილი ვიტ ჯორჯიამ იხსნა

**საქართველოს** მე-20 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე რუსთავის „ოლიმპს" ყველა ფავორიტად მიიჩნევდა, თუმცა რუსთაველებმა ოთხ თამაშში სამი ფრე გააზერხეს, ერთ მატჩში კი მარცხი იწვნიეს და ცხრილის ბოლოსკენ არიან.

რა თქმა უნდა, ასეთი სტარტი სულაც არ ეპიტნავებათ კლუბის ხელმძღვანელებს და აქ-იქ მთავარი მწვრთნელის, ხვიჩა ქასრაშვილის გაშვებაზეც ალაპარაკდნენ. აი, რა გვითხრა გუშინ „ოლიმპის" ხელმძღვანელმა ზურაბ ჯაფარიძემ:

„არასასურველი სტარტი გვაქვს და დღის წესრიგში ქასრაშვილის წასვლა-დარჩენის საკითხი მართლაც იდგა, მაგრამ ბოლო, მეხუთე ტურში გუნდმა „ვიტ ჯორჯიასთან" აშკარად გამოასწორა თამაშის ხარისხი. ამან გადაგვაწყვეტინა, რომ ქასრაშვილს კვლავ ვენდოთ და მან მუშაობა გააგრძელოს".




ნუკრი ლოლაძე

# სანდრო გურულის კარპატული აღიარება



**ფრანგული** „ლიონ დუშერიდან" ლვოვის „კარპატიში" გადასულმა სანდრო გურულმა უკვე მოასწრო გულშემატკივართათვის თავის შეყვარება. 22 წლის ქართველმა შემტევმა ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა ლვოველთა გუნდში და უკვე კლუბის საუკეთესო დებიუტანტად და ბოლო თვის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

მართლაც შთამბეჭდავია — თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ორ თამაშიდან „კარპატიმ" ერთშიც ვერ იმარჯვა.

„სანდრო ძალიან კარგად შეეწყო გუნდს. მშვენიერი შენაძენია. ის სწრაფი ტექნიკური და ჭკვიანია, რაც ამ მატჩებში მშვენივრად გამოჩნდა. გურულს ყველა მონაცემი აქვს საიმისოდ, რომ უკრაინის ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი გახდეს" — თქვა „კარპატის" მწვრთნელმა ოლეგ კონონოვმა.

გულშემატკივართა გამოკითხვაში გურულმა 103 ხმა მიიღო, როცა მეორეადგილოსანს სულ 56 ერგო — ვგულისხმობთ დებიუტანტების შეფასებას.

ისე, სანდრო მარჯვენა ნახევარმცველ-გარემარბად თამაშობს, ეს პოზიცია კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თითქმის ცარიელია — არა მარტო ახლა, კარგა ხანია, მარჯვენაფლანგელი შემტევი ნაკრებში დეფიციტად ქცეულა...

ილია ნანოგაშვილი

# ვისოლი ქართულ საკლუბო ფეხბურთში
## კოლხიდამ ბენზინი ჩაისხა



**ქართულ** სპორტს რომ ფინანსური მხარდაჭერა სჭირდება, მგონი, საკამათო არავისთვის უნდა იყოს. თუ სპორტსმენს ელემენტარული პირობა არ გააჩნია, რაიმე წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია.

ფინანსური სიდუხჭირე განსაკუთრებით ქართულ საკლუბო ფეხბურთს აწუხებს და გუშინ ამ მხრივ საკმაოდ საყურადღებო ფაქტი მოხდა: მედიაკომპანია „კოლხიდასა" და „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც „ვისოლი" ოფიციალურად გახდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სპონსორი.

რა თქმა უნდა, ეს პროექტი ქართული საკლუბო ფეხბურთის განვითარებას და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

„ვისოლს" სურს, მთლიანად ქართული სპორტის განვითარებაში შეიტანოს თავისი წვლილი და ამჟამად თბილისში ოთხ ხელოვნურსაფარიან მოედანს აკეთებს, შენდება ჭიდაობის დარბაზებიც. როგორც შევიტყვეთ, ეს კომპანია თანამედროვე ღია ველოდრომსაც აკეთებს, ადმინისტრაციული შენობით და სავარჯიშო დარბაზით.

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტზე დასავლეთევროპელი არქიტექტორები მუშაობენ.

აქვე ვთქვათ, რომ „ვისოლმა" არც ქართული რაგბი დაივიწყა და რამდენიმე თვის წინ კლუბი „ყოჩები" შეიძინა, რომელსაც ამიერიდან „ვისოლი ყოჩები" ერქმევა.

აი, რას ამბობს „ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე სოსო ფხაკაძე: „ვისოლი" ვალდებულად თვლის თავს, გვერდში ედგას ქართულ სპორტს, რასაც ორი მიზეზი უდევს საფუძვლად. პირველი, „ვისოლი" თავად ცხოვრობს სპორტული წესით — კომპანიაში შექმნილია თანამშრომლებით დაკომპლექტებული 12 ფეხბურთის გუნდი, ტარდება ყოველკვირეული ვარჯიშები და ეწყობა შიდა ჩემპიონატები. და მეორე, „ვისოლს" სურს, რომ საქართველოში ახალგაზრდები დაკავებულნი იყვნენ სწავლით და სპორტით. ჯანსაღი ცხოვრების წესი წარმატების ძირითადი გარანტიაა. „ვისოლი" იწყებს სპორტული ცხოვრების წესის ფართომასშტაბიან პროპაგანდას საქართველოში და დარწმუნებული ვარ, ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს სიამოვნებით შემოუერთდებიან სხვა კომპანიები და მთლიანად საზოგადოება".

ნუკრი ლოლაძე.





# ქორქიკაშვილმა სპარტაკი დატოვა

საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჯერ ხუთი ტური ჩატარდა, თუმცა უკვე ერთი გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა — ეს ცხინვალის „სპარტაკია".

კობა ჟორჟიკაშვილმა ცხინვალური კლუბი გუშინ დატოვა.

„სპარტაკს" არასახარბიელო სტარტი აქვს — ოთხ შეხვედრაში ოთხივე წაგება, მაგრამ როგორც ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, კლუბის ხელმძღვანელობა მას დარჩენას სთხოვდა და გადაწყვეტილება ვეღარ შეაცვლევინეს.

„ცოტა ხნის წინაც მინდოდა წასვლა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა დიმიტრი სანაკოევმა მთხოვა და დავრჩი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ „სპარტაკში" ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ეს ნაბიჯი ფინანსურ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. მჯერა, რომ ახალი მწვრთნელი „სპარტაკზე" დადებითად იმოქმედებს".

ჟორჟიკაშვილი წავიდა და, როგორც შევიტყვეთ, მთავარი მწვრთნელი მოსაყვანად კლუბის ხელმძღვანელები შორს არ წავლენ, ჟორჟიკაშვილის თანაშემწეებიდან ერთ-ერთს დანიშნავენ. აი ისინიც: არჩილ ჩხაბერიძე, სერგო გაბელაია, ვაჟა ტოგონიძე და ბადრი დარსაძე.

**ნუგზარ ლოლაძე**

# იმედაძე ფეხბურთს და ტორპედოს დაუბრუნდა



**საინტერესო** ამბავი: ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი, 28 წლის გრიგოლ იმედაძე ფეხბურთს დაუბრუნდა.

თავის დროზე ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად მიჩნეულმა იმედაძემ კარიერა ისე ვერ აიწყო, როგორც მისგან ელოდნენ და ახლა ის მშობლიურ ქუთაისში აპირებს ფორმის აღდგენას.

იმედაძემ უკვე ითამაშა პირველლიგელ „ტორპედო 2008"-ში — ქუთაისელებმა შინ 0:1 წააგეს ფოთის „კოლხეთთან".

შეგახსენებთ, რომ აქამდე იმედაძეს „ტორპედოში", „ლოკომოტივში", „ზესტაფონში", „ოლიმპში", ვლადიკავკაზის „ალანიაში", თურქულ „ქოჯაელისფორში" და სიმფეროპოლის „ტავრიაში" უთამაშია...

**ბაჩა შალამბერიძე**

# დიდი კუში

## საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონობა — 7 000/1

**ცნობილმა** საბუქმეიკერო კანტორა „სპორტინგბეთმა" 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის კოეფიციენტები გამოაქვეყნა. ცხადია, სიაში საქართველოს ნაკრებიცაა, ოღონდ იმ 140 ქვეყანას შორის, რომელთა კოეფიციენტი 7000/1-ზეა.

ეს, რაც შეეხება 140 ქვეყანას, დანარჩენთა კოეფიციენტები კი დაბალია. ფავორიტი ბრაზილიაა, რომლის კოეფიციენტი 5/1-ზეა, შემდეგ კი არგენტინა (11/2) და ესპანეთი (13/2) მოდიან.

ჩვენი შესარჩევი ჯგუფიდან იტალიის ჩემპიონობას 8/1 უწერია, ირლანდიას 150/1, ბულგარეთს კი — 400/1.

ჩერნოგორია და კვიპროსი ჩვენსავით „7000-იანები" არიან.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. I წრე. 6 ტური

### დასავლეთი

**მერანი (მ) 0:0 ჭიათურა**

მერანი (მ): კოდალაევი, ჩხიკვაძე, ფარცვანია, ი. ვაშაკიძე, კვიტატიანი, პაპადოპულოსი (დ. თოდუა 84), წონორია, დ. გოგოლაძე (ტორაძე 60), ლ. ჩალაძე (ცაგარეიშვილი 75), ლ. კირკიტაძე, ციცხვაია

*სათადარიგონი:* ენდელაძე, არდაშელია, მუმლაძე, შეროზია

მწვრთელი: მალხაზ ჟვანია

ჭიათურა: ბადურაშვილი, გ. ბრეგვაძე, კევლიშვილი, ეგაძე, სეფერთელაძე, გ. ილურიძე, ბრუსლი, კ. ძაგანია, ნგოკო (გ. ხაჩიძე 30), ზ. ხაჭიპერაძე (ვაშაძე 90), სევასტოპულო (გოგბერაშვილი 40)

*სათადარიგონი:* ზ. დარჯანია, ნ. ტყემალაძე, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: კვიტატიანი, ციცხვაია, ეგაძე, ილურიძე

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

300 მაყურებელი

**ზესტაფონი 2 1:1 სამტრედია**

1:0 ჟონატასი (18), 1:1 ჩომახიძე (60)

ზესტაფონი 2: ძაძამია, მაკარიანი, ბუკია, ბერიძე, სანტოსი, ჟონატასი (ლ. გაბრიჭიძე 66), სტეფანიშვილი (კვირიკეიშვილი 77), შ. ლონლაძე, კეჭაყმაძე, ბერუაშვილი, კამლაძე (სუხიაშვილი 64)

*სათადარიგონი:* ლ. ცხადაძე, გ. ხაჩიძე, გ. ჭანკვეტაძე, ო. ბოჭორიშვილი

მწვრთნელი: გია ნადირაძე

სამტრედია: ი. დ. შენგელია, გოგია, კვესეიშვილი, სამსეიშვილი, ნინუა, ლ. მახარაძე, ჩომახიძე, გ. თურმანიძე, ადეიშვილი, ოქრუაშვილი, ეცადეიშვილი (ბაკურაძე 88)

*სათადარიგონი:* კეკელიძე, თელია, გ. დარჯანია, ი. გ. შენგელია, სალდაძე

მწვრთნეი: ვალერიან ჩხარტიშვილი

გაფრთხილება: სამსეიშვილი, სანტოსი, ნინუა, ეცადეიშვილი

მსაჯი: კ. ჭაჭუა

100 მაყურებელი

**ბათუმი 2:1 გურია**

1:0 ტულუში (16), 1:1 კვერენჩხილაძე (47), 2:1 ქურიძე (76ს.კ.)

ბათუმი: თოთლაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე (ზოიძე 51), ტულუში, დემურაძე, მალაზონია (გორჯელაძე 68), ქადიძე (ლ. კალანდაძე 51)

*სათადარიგონი:* მჭედლიძე, ზაქარეიშვილი, გალოგრე, თ. კაკალაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გურია: აბრამიშვილი, რ. კუკულაძე, ცინცაძე (მ. კოტრიკაძე 46), ქურიძე, იმნაძე (სულაბერიძე 80), ი. კილაძე, გოგიბერიძე, ს. მოდებაძე (ს. ურუშაძე 46), ტ. კუკულაძე, მგელაძე, კვერენჩხილაძე

*სათადარიგონი:* ხურციძე, ჯორბენაძე, ჯაყელი, შეწირული

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

გაფრთხილება: გ. გოგიტიძე, ზოიძე, ცინცაძე, გოგიბერიძე, მგელაძე, კვერენჩხილაძე

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

500 მაყურებელი

**ტორპედო 2008 0:1 კოლხეთი**

0:1 ბაკარანძე (2)

*ჩხარტიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (85)*

ტორპედო 2008: მიგინეიშვილი, ი. დარსაძე, ბიბილაშვილი, ხარებავა, კოსტავა (ხარაბაძე 82), გურული, კობერიძე, დანელია (ა. ქობალია 65), ტიელიძე (კუჭუხიძე 66), იმედაძე, ი. ჭანკვეტაძე

*სათადარიგონი:* გორბელაძე, წიქორიძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

კოლხეთი: გ. შენგელია, ლუსტა, ცხვიტარია, დ. ნარსია, გელაჭეიშვილი, ქომეთიანი (გვიჩია 80), მ. ჩხარტიშვილი, აბურჯანია, გოგნაძე, ბაკარანძე (გვალია 46), წიქარიშვილი (ქანდავაძე 63)

*სათადარიგონი:* ჩემია, ციკოლია, ლემონჯავა, სიჭინავა

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

გაფრთხილება: აბურჯანია, ჩხარტიშვილი, კობერიძე, ხარაბაძე, აბურჯანია

გაძევება: აბურჯანია (90)

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

200 მაყურებელი

**ხობი 0:2 ბაია**

0:1 კუტალია (70), 0:2 ქაშაკაშვილი (88)

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ო. ფიფია, მ. შონია, ჯამბურია, ლატარია (ალანია 57), ლეფსაია, კ. გოგენია, ღლონტი (ფირცხელავა 53), სართანია, გაგუა

*სათადარიგონი:* ჭურღულია, ჭითანავა, გრიგოლია, ჩაჩიბაია, ა. კვირკველია

მწვრთნელი: ლევან ნოდია

ბაია: ივარდავა, ზ. ექონია, გ. პაჭკორია, გ. ჟვანია, კვეკვესკირი, ძალამიძე, რაფავა, ვართაგავა (ქაშაკაშვილი 87), გუგუჩია (წურწუმია 33), ქირია (კუტალია 60), სვირავა

*სათადარიგონი:* მაქაცარია, ეხვაია, ლ. ქობალია, აფაქიძე

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

გაფრთხილება: გ. გოგენია, ვართაგავა, ივარდავა

მსაჯი: მ. ურუშაძე

500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 6 | 4 | 1 | 1 | 14:4 | 13 |
| ბაია | 5 | 4 | 1 | 0 | 10:1 | 13 |
| კოლხეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 5:1 | 13 |
| სამტრედია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| მერანი (მ) | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 8 |
| ხობი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | 5 |
| გურია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ზესტაფონი 2 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| ბათუმი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | 5 |
| ტორპედო 2008 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:6 | 1 |
| მეშახტე | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | 1 |

### გადადებული მატჩი

10 ოქტომბერი

მერანი (მ) – ბაია

### მეშვიდე ტური

12 ოქტომბერი

სამტრედია – ხობი

ჭიათურა – ზესტაფონი

კოლხეთი – ბათუმი

მეშახტე – ტორპედო 2008

14 ოქტომბერი

გურია – მერანი (მ)

### აღმოსავლეთი

**დინამო 2 3:0 კახეთი**

1:0 ბოლქვაძე (20), 2:0 ლეკვთაძე (79), 3:0 გეთიაშვილი (83პ)

დინამო 2: გ. ნადირაძე, კეკელია, გეთიაშვილი, ჩადუნელი, გ. ოთარაშვილი (ჭადაშვილი 27), მამუჩიშვილი, კოპაძე (ქამუშაძე 79), ვ. ბოლქვაძე, ჯობაძე (მამრაში 62), ლეკვთაძე, გუგავა

*სათადარიგონი:* ჭყონია, კაჭკაჭიშვილი, გ. დარასელია, ცერცვაძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

კახეთი: ქუფარაშვილი, ლ. აბდულაევი, მურველიშვილი, ო. აბდულაევი, ხუმარაშვილი (ბ. მჭედლიშვილი 85), მ. ხიდეშელი (ლ. გიგაური 46), იმერლიშვილი, ბიძინაშვილი, მელიქიშვილი (კობაიძე 68), ძამუკაშვილი, ლ. ტეტიაშვილი

*სათადარიგონი:* ი. ხუციშვილი, ხამხაძე, ტარუღაშვილი, კობრიაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

გაფრთხილება: ლეკვთაძე, ხიდეშელი, ხუმარაშვილი

მსაჯი: ხ. გაგნიძე

50 მაყურებელი

**ჩიხურა 5:0 სიონი 2**

1:0 მიქაძე (7), 2:0 ზივზივაძე (27), 3:0 პეტრიაშვილი (76), 4:0 დოლონაძე (81), 5:0 მგალობლიშვილი (86)

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, დოლონაძე, ტყებუჩავა, ი. ზაბახიძე, ლ. ჩიკვაიძე (ზ. ნოზაძე 59), გულიაშვილი (პეტრიაშვილი 46), მ. მიქაძე (ნ. მაჭარაშვილი 79), კობახიძე

*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, ჭილაძე, ცარციძე, როგავა

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

სიონი 2: გურგენიძე, გიორბელიძე, იობაშვილი, გაბიძაშვილი (მ. ჭაველაშვილი 46), ლ. ჩხეტიანი, მ. ოქროპირიძე, ბუბუტეიშვილი, შ. გაბრიჭიძე (ქობულაძე 73), ალფაიძე, გიგინეიშვილი, ჯიქიძე

*სათადარიგონი:* ი. ბრეგვაძე, უგულავა, ბ. ჭაველაშვილი, არლევლიანი, თ. რეხვიაშვილი

მწვრთნელი: ჯონი ჯაგიდისი

გაფრთხილება: დოლონაძე, ბუბუტეიშვილი

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

150 მაყურებელი

**ჰერეთი 1:2 გაგრა 2**

0:1 აბაშიძე (9), 1:1 თოფურია (19), 1:2 ჩხაიძე (52)

ჰერეთი: მატვიენკო, ხარაიშვილი (ტაბატაძე 34), ლომიძე, ფარულავა, გ. მაჭარაშვილი, თანდაშვილი, კუპრაშვილი, ყორღანაშვილი (გვარაძე 66), შ. ლობჟანიძე, წვერავა (ვარამიშვილი 55), თოფურია

*სათადარიგონი:* ბილიხოძე, ტყეშელაშვილი, ლ. მეტრეველი, თაბუკაშვილი

მწვრთნელი: ვლადიმერ ონიანი

გაგრა 2: გ. ნაჭყებია, გ. სეფიაშვილი (ა. ტეტუნაშვილი 46), ლ. კალანდაძე, კვანტალიანი, გედენიძე, ლალიანი, მესხი, ლ. სეთურიძე (ოქრიაშვილი 66), თ. მეტრეველი, დ. ჩხაიძე (სუხიშვილი 77), ა. აბაშიძე

*სათადარიგონი:* ახობაძე, მოსიაშვილი, თუხარელი, ჭაავა

მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე

გაფრთხილება: ლომიძე, კუპრაშვილი, თ. მეტრეველი

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

**ამერი. 1:1 ვიტ ჯორჯია 2**

0:1 ჯანელიძე (15), 1:1 ჩიმაკაძე (42)

ამერი: ლ. ნადირაშვილი, გ. ჯელაძე, გვაძაბია, კაკაბაძე, ელბაქიძე, ხუციძე, ბენდელიანი (ბუმბეიშვილი 37; გ. ხელაძე 84), ლ. ბოჯგუა, ტიკურიშვილი, ცხოვრებაშვილი, ჩიმაკაძე (ნ. ქებაძე 70)

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ფუტკარაძე, ჯინიკაშვილი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ვიტ ჯორჯია 2: ა. მიქაბერიძე (ლურბელეიშვილი 6), ვეკუა, ადამაძე, კასრაძე, გამრეკლიძე, მაისაშვილი (ფურცელაძე 35), როსტიაშვილი (ზაქრაძე 76), ლანიაშვილი, გ. ჯანელიძე, ვასაძე, სვანიძე

*სათადარიგონი:* ფურცელაძე, იოსელიანი, გოგიაშვილი, ცხოვრებაძე

მწვრთნელი: მერაბ კოქლაშვილი

გაფრთხილება: ბოჯგუა (28), გამრეკლიძე (29), კასრაძე (49), ვასაძე (75), ელბაქიძე (90)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

50 მაყურებელი

**ნორჩი დინამო 1:2 თბილისი**

0:1 ხოხონიშვილი (58), 1:1 უხურგუნაშვილი (76), 1:2 ტორონჯაძე (49)

ნორჩი დინამო: აზნიაშვილი, მამარდაშვილი, ა. კალაძე, დაბრუნდაშვილი, ბოკუჩავა, გურაბანიძე, ლვთისავრიშვილი, მეფარიძე (ჩიხლაძე 64), ლაბარტყავა (კ. ნაჭყებია 62), უხურგუნაშვილი, ქავთარაძე

*სათადარიგონი:* გ. გრიგალაშვილი, ა. შენგელია, ლ. გაბუნია, ბ. ცინცაძე, ი. გაბრიჭიძე

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

თბილისი: ხარშილაძე, დ. ამისულაშვილი, ჭაფოძე, ბელქანია (ი. დევდარიანი 90), ი. მოდებაძე, ტორონჯაძე, ჯაში, ზვიადაძე, ოდიშარია (მიქელაძე 41), ხოხონიშვილი, სებისკვერაძე (სულუხია 74)

*სათადარიგონი:* ვ. ლობჟანიძე, ბ. ბაბუნაშვილი, კბილცეცხლაშვილი,

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: დაბრუნდაშვილი, მამარდაშვილი, ლვთისავრიშვილი

მსაჯი: ო. ხეცაძე

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| ჩიხურა | 6 | 3 | 2 | 1 | 16:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:1 | 11 |
| ამერი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| დილა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 10 |
| თბილისი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| სიონი 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:13 | 7 |
| ნორჩი დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| კახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| გაგრა 2 | 6 | 1 | 0 | 5 | 7:15 | 3 |
| ჰერეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |

### მეშვიდე ტური

12 ოქტომბერი

კახეთი – ჩიხურა

ამერი – ნორჩი დინამო

გაგრა 2 – ვიტ ჯორჯია 2

სიონი 2 – ჰერეთი

13 ოქტომბერი

დილა – დინამო 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათი ყველაზე ბორატი წაგება

შაბათს, ინგლისის ნაკრები ყაზახეთს მასპინძლობს. მოგეხსენებათ, ეს შეხვედრა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევთა რიგიდანაა, ანუ, სავარაუდოდ, ინგლისელები მეტისმეტად იოლ სამ ქულას მოიპოვებენ და სამხრეთ აფრიკისკენ მორიგ ნაბიჯს გადადგამენ. ის, რომ ინგლისი ყაზახეთს მოუგებს, აბა, რა საეჭვოა. გუნდი, რომელმაც წინა ჯერზე, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ხორვატია დაჭმუჭნა და თან ინგლისში კი არა, ხორვატიაში, ყაზახებს, მითუფრო საკუთარ მოედანზე, ხომ გაბრდღვნის და გაბრდღვნის. მაგრამ, ნუ იჩქარებთო, გვეუბნებიან „სანის" ის ჟურნალისტები, რომელთაც „სარბიელის" მკითხველებისთვის ცნობილი რუბრიკა „ათი ყველაზე" აბარიათ. ისინი თავიანთი ნაკრების ისტორიაში ძვრებიან და იქიდან ათი ისეთი მარცხი ამოაქვთ, რომელთა გახსენებისას კაცმა შეიძლება მართლა ირწმუნო, რომ ინგლისი ყაზახეთთან ქულას დაკარგავს. არა, რასაკვირველია, „სანის" ხალხი იქვე დასძენს, რომ ყაზახეთთან წაგების შემთხვევაში ეს ამბავი ისტორიაში უდიდეს ინგლისურ საფეხბურთო სირცხვილად შევა, მაგრამ იმას, რომ ამქვეყნად ყველაფერი ხდება, მათი აზრით, ლაპარაკი არ უნდა. და, სანამ რუბრიკის ვერსიით, ათ ყველაზე დიდ ინგლისურ საფეხბურთო სირცხვილს ჩამოგითვლიდეთ, ერთსაც დავძენთ: ყაზახებისადმი აგდებული დამოკიდებულება ბრიტანეთში იქაური კომიკოსის, საშა ბარონ კოენის მიერ 2006 წელს გადაღებულმა სკანდალურმა ფილმმა, „ბორატმაც" განაპირობა. რაც უფრო ახლოვდება შაბათი, მით უფრო ხშირდება ინგლისურ პრესაში ამ პერსონაჟის ხსენება, ასე რომ, ყაზახთაგან ინგლისელების დამარცხების შემთხვევაში, ნეიტრალურ მაყურებელს მართლა დიდი სეირი გველის



### 10 ინგლისი 2:3 შოტლანდია (1967)



დააკვირდით, რა წელიწადია... ინგლისელები ერთი წლის წინ მოგებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით ჯერ კიდევ ტრაბახობენ. ნიჭიერმა ჯო ბაქსტერმა და კომპანიამ კი მათი სახეებიდან ამაყი ღიმილი საათნახევარში ჩამოხსნა. ეს ინგლისის ნაკრებისთვის ნამდვილი ცივი შხაპი გახლდათ.

### 8 ინგლისი 3:6 უნგრეთი (1953)



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ინგლისელებს თავი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს საფეხბურთო ქვეყნად მიაჩნდათ და ამის სრული საბაბიც ჰქონდათ: მათ შინ თამაში არ წაეგოთ. მაშ, რაღა უნგრეთთან უნდა დამარცხებულიყვნენ? რასაკვირველია, ამას არავინ ელოდა, მაგრამ ჩამოვიდა ფერენც პუშკაშის ზრაპრული გუნდი და იმ მომენტისთვის ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

### 6 უელსი 4:1 ინგლისი (1980)



ამ შეხვედრას ინგლისის ნაკრები თავაწეული შეხვდა — ზედიზედ ექვსი თამაში ჰქონდა მოგებული, მათ შორის ბოლო — მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინასთან. მაგრამ მაიკ თომასის კარგი თამაშით შეგულიანებული უელსი იმ დღეს საგანგებო ხასიათზე იყო. ასეთი შთამბეჭდავი მარცხი ინგლისს უელსში 16 წლის განმავლობაში არ ეგემა.

### 4 ინგლისი 1:5 შოტლანდია (1928)



შოტლანდიის ნაკრებს, რომელმაც ინგლისელებს „უემბლიზე" ეს თამაში მოუგო, „უემბლის ჯადოქრები" შეარქვეს. 1:1-ის მერე შოტლანდიელთა არსენალელმა ლიდერმა ალექს ჯეიმსმა ჰეთ თრიქი მიითვალა. სხვათა შორის, ამ მატჩმა შოტლანდიელთათვის თანდათანობით მითოლოგიური მნიშვნელობა მიიღო.

### 2 ჩრდილოეთ ირლანდია 1:0 ინგლისი (2005)



სვენ-გორან ერიკსონის ეპოქა დაღმა მიდიოდა და ეს შედეგი ამ მხრივ ბევრისთვის ფრიად მრავლისმთქმელი აღმოჩნდა. მასპინძელთან, რომელიც „პორტსმუთის", „პიტერბროს" და „მოზერუელის" ფეხბურთელებისგან შედგებოდა, სტუმრები, რასაკვირველია, ფავორიტებად ჩანდნენ, მაგრამ ვაგლახ.

### 9 ინგლისი 2:3 ხორვატია (2007)



შარშან ამ დროს ხორვატია ძალიან ძლიერი გუნდი იყო და თავისთავად, მასთან წაგებაში სამარცხვინო არაფერი გახლდათ, მაგრამ ფანები სტივ მაკლარენისა და მისი წვიმაში ქოლგით შემყურე საშინლად შეურაცხყოფილნი დარჩნენ. ისინი ამ კაპიტულანტურმა სურათმა შეურაცხყო. არადა, იმ შეხვედრაში ინგლისელებს მხოლოდ ფრე სჭირდებოდათ. ერთ ფრეს ისინი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაჰყავდა.

### 7 აშშ 2:0 ინგლისი (1993)



ამ შეხვედრამდე ინგლისელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი წააგეს ნორვეგიასთან, მაგრამ თურმე ჯერ სად იყვნენ. თამაში, რომელიც მასაჩუსეტსში გაიმართა, ამერიკელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. ერთი გოლი თვით ალექსი ლალასმაც კი გაიტანა. გახსოვთ ეს ბლანჟიანი მცველი?

### 5 ინგლისი 1:3 ავსტრალია (2003)



ეს ამბავი „აპტონ პარკზე" მოხდა. ავსტრალიელები ინგლისელებს იმხანად კრიკეტში უგებდნენ და უკანასკნელთ ფეხბურთში რევანში სწყუროდათ, მაგრამ ვინ მოგართვათ... სხვათა შორის, ეს იყო უეინ რუნის დებიუტი ნაკრებში.

### 3 ნორვეგია 2:1 ინგლისი (1981)



იცით, რა ფრაზა შემორჩა იმ თამაშის მერე? „მეგი თეტჩერო, შენმა ბიჭებმა წაგების ჯოჯოხეთი ნახეს" — ასე მიმართა ბრიტანეთის მაშინდელ პრემიერ-მინისტრს ლეგენდარულმა ნორვეგიელმა კომენტატორმა ბიორგე ლილიელიენმა. ნორვეგია იმ ეპოქაში ფეხბურთს ძალიან ცუდად თამაშობდა, ინგლისი კი მაინც მოხვდა მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზე.

### 1 აშშ 1:0 ინგლისი (1950)



ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა, სადაც პირველ შეხვედრაში ინგლისელებმა ჩილეს აჯობეს, მეორეში კი წამყვანი მოთამაშეები დაასვენეს და რაც მიიღეს, შედეგიდან ხედავთ. სხვათა შორის, ამერიკელები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი თავის წაგებაში, რომ მწვრთნელმა თამაშის წინა ღამეს ღიმილის და დროსტარების ნებაც კი მისცა.

**პაპუნა ძედია**

# განსაკუთრებულის განსაკუთრებული მოლოდინი




**„ჩელსის“** ყოფილი მწვრთნელი, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ არ მალავს, რომ ლონდონელი „ლურჯების“ შემდეგ, ინგლისის ნაკრების თავკაცობას უმიზნებდა. და კიდევ, თურმე, გასულ ზაფხულს ლუიშ ფელიპე სკოლარის სწორედ „ჩელსიში“ გაშვების შემდეგ, უმწვრთნელოდ დარჩენილი პორტუგალიის ნაკრები ვაკანტური ადგილის დაკავებას მას სთავაზობდა, მაგრამ „განსაკუთრებულმა“ შორს დაიჭირა.

შევახსენებთ, რომ როდესაც სტივ მაკლარენისეული ინგლისის ნაკრები ევროპის 2008 წლის შესარჩევში ჩაფლავდა და ამ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო, ბუქმეიქერებმა უმთავრეს ფავორიტად სწორედ მაურინიუ გამოაცხადეს. იმხანად, „განსაკუთრებული“ „ჩელსიდან“ უკვე წასული იყო და დღევანდელი „ინტერიც“ ჯერ არ ჩანდა ჰორიზონტზე, მაგრამ მაშინ „მაუმ“ თავად თქვა უარი — სანაკრებო ფეხბურთში გადასვლა არ მეჩქარება, კარიერა სადმე კლუბში მინდა გავაგრძელოო.

„რაღაც მომენტში ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა მართლა ვიფიქრე, რადგან ამ ქვეყნის ფეხბურთიც მიყვარს და თავად ეს ქვეყანაც. იქ თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი. გარდა ამისა, ინგლისი ის ადგილია, სადაც ნაკრების მწვრთნელობა ენითაუწერელი პრესტიჟია, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩემი ცხოვრება ყოველდღიური მუშაობისგან შედგება. მე გუნდთან ყოველდღიური ყოფნა მჭირდება და თუ საშუალებაა, კვირაში ორ თამაშს უფრო მივესალმები, ვიდრე ერთს“ — თქვა მაურინიუმ.

და ეს ნათქვამი ნათელს ჰფენს, თუ რატომ თქვა მან უარი მშობლიური პორტუგალიის გაწვრთნაზე — ეს თანამდებობა „მაუს“ უარის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ასისტენტმა მწვრთნელმა კარლუშ კეიროშმა ჩაიბარა.

„რამდენჯერაც პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელობაზე მიფიქრია, იმდენჯერ მითქვამს საკუთარი თავისთვის, რომ ამ საქმეს კარიერის ბოლო ეტაპზე უნდა მივმართო, ესენი კი მაჩქარებდნენ. გასაგებია, არის ხოლმე მომენტები, როდესაც ადამიანები საკუთარი ხელით დაგებული გზიდან ხტებიან, მაგრამ ჩემთვის ამ ეტაპზე ამის გაკეთება მეტისმეტად ადრე გახლდათ. ისე კი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ქვეყნის ნაკრებს აუცილებლად ვუთავკაცებ და ამით ჩემს ოჯახს დიდი სიამაყის საბაბს მივცემ“.

**პაპუნა ძიძია**

# ვისზე ტყდება ჯოხი?

**„ტოტენჰემ ჰოთსპურის“** ცუდი დროება პრემიერლიგის ბოლოდროინდელ ამბავთაგან ერთ-ერთი უმთავრესია. „სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რაც სტატისტიკოსებმა დათვალეს: „სპურზს“ ასეთი ცუდი პერიოდი 1912 წლის მერე არ ჰქონია, 1912 კი ის წელიწადია, როდესაც „ტიტანიკი“ ჩაიძირა. ჰოდა, არის მასმედიაში ატეხილი ერთი ამბავი, დღე არ გავა, გაზეთებმა რომ არ დაწერონ, „ტოტენჰემი“ „ტიტანიკივით“ იძირებაო.

მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტური ტრიუკებია, სიტყვებით ჟონგლიორობა, ლონდონურ კლუბში კი საქმე აქვთ მისახედი. სხვა თუ არაფერი, ვინმეზე ჯოხი ხომ მაინც უნდა გადატყდეს და... როგორც ჩანს, განტევების ვაცი იპოვნეს: კლუბის ფრანგი თანამშრომელი, უფრო ზუსტად კი, სპორტული დირექტორი დამიან კომოლი, რომელსაც საშინლად წარუმატებელი სატრანსფერო პოლიტიკის წარმართვა ბრალდება.

შეგახსენებთ, რომ „სპურზი“ შვიდი თამაშის შემდეგ ორი ქულით პრემიერლიგის ცხრილში ბოლო ადგილზეა.

დიახ, ლონდონურ კლუბში ამბობენ, რომ ესპანელი მწვრთნელი ხუანდე რამოსი შესუსტებული შემადგენლობით სწორედ კომოლიმ დატოვა. კომოლის ბრალდება დიმიტარ ბერბატოვისა და რობი კინის დაუფიქრებელი გაყიდვა და ის, რომ სანაცვლოდ მხოლოდ ერთი თავდამსხმელი, რუსი რომან პავლიუჩენკო იყიდა.

ახლა უკვე ცნობილი ხდება, რომ სატრანსფერო გადაწყვეტილებებს „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ოფისში სამი კაცი იღებდა: ხსენებული დამიან კომოლი, ასევე ხსენებული რამოსი და, რასაკვირველია, თავმჯდომარე დენიელ ლივი. აღარც ის არის დამალული, რომ კომოლი და რამოსი ერთმანეთთან კარგად ვერ იყვნენ, მაგრამ საბოლოო სიტყვა, თურმე, ფრანგისა ყოფილა და ამიტომაც მოუწევს ახლა თანამდებობის დატოვება.

რამდენადაც ცნობილია, რაც „ტოტენჰემის“ სათავეში ხუანდე რამოსი ჩადგა, კლუბმა ტრანსფერებზე 80 მილიონი გირვანქა დახარჯა, მაგრამ რად გინდა. რაც შეეხება ბერბატოვსა და რობი კინს, მათი გაყიდვით ლონდონელებმა დაახლოებით 50 მილიონი დაიბრუნეს, ოღონდ ამ ფულმა დიდი მსხვერპლი მოითხოვა — აკი გითხარით, რომ „სპურზი“ ცხრილში ბოლო ადგილზეა.

„როგორც კი თამაშების მოგებას დავიწყებთ, ეჭვი არ მეპარება, საკუთარი ძალების რწმენაც აღგვიდგება — ამბობს „ტოტენჰემის“ ნახევარმცველი დიდიე ზოკორა — პრემიერლიგიდან გავარდნაზე არც ვფიქრობ. ეს დაუშვებელია. ჩვენთან ჩინებული ატმოსფეროა და გუნდური სულისკვეთებაც არ დაგვეწუნება“.

**პაპუნა ძიძია**



„სანის“ ფოტომონტაჟი „ა ლა ტიტანიკ“: დანიელ ლევი და ხუანდე რამოსი



# ერთხელ, ოტო რეჰაგელმა...

**„თაგეს ცაიტუნგთან“ ინტერვიუში ოლივერ კანმა „ბაიერნის“ შეფებს და კლუბის ქომაგებს მოთმინება ურჩია და თქვა, რომ კლინსმანი „მილანისგან“ „რეალს“ ვერ გააკეთებს**

**— აქამდე რატომ არაფერს ამბობდით?**

— ყოველთვის ნერვებს მიშლიდა ყოფილი თანაგუნდელების კომენტარები „ბაიერნზე“ და იგივეს გამეორება არ მსურდა.

**— „ბოხუმთან“ 3:3-ს როგორ ახსნით?**

— მართლა? თამაში არ მინახავს.

**— ფეხბურთი აღარ გაინტერესებთ?**

— როცა 20-წლიან კარიერას დაასრულებ, აუცილებელია დასვენება. ერთი რამ კი ცხადია — მეკარეობას აღარ ვაპირებ.

**— „ბაიერნის“ კრიზისის მიზეზი რა არის?**

— ეს ძალიან მაკვირვებს, რადგან გუნდში ძირეული ცვლილებები ხომ არ მომხდარა. ამ ზაფხულს 2-3 ფეხბურთელზე მეტი არ დაუმატებიათ. ფაქტობრივად, ამავე შემადგენლობით, გასულ სეზონში გერმანიის ჩემპიონები გავხდით, თასი მოვიგეთ და უეფას თასის ნახევარფინალში გავედით.

მეორე მხრივ, ვერ ვიტყვი, რომ „ბაიერნში“ ახლა კრიზისია და ყველაფერი ცუდადაა. ახალი მწვრთნელის მოსვლას მუდამ მოჰყვება ახალი იდეები, რომელთა განხორციელებასაც დრო სჭირდება, ეს კი ბუნებრივია.

**— თქვენი აზრით, კლინსმანს საჭირო დროს მისცემენ?**

— როცა კლუბის შეფები იურგენ კლინსმანს მწვრთნელობაზე უთანხმდებოდნენ, ალბათ იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ და ისიც იცოდნენ, რომ ახალი იდეებს მოიტანდა. სავარჯიშო მეთოდებში და ტაქტიკაში ცვლილებებმა პრობლემები გამოიწვია, მაგრამ მათი გადალახვა შესაძლებელია. კლუბმა ნებისყოფა უნდა გამოიჩინოს, თუ სჯერა, რომ ეს გზა წარმატებამდე მიიყვანს.

**— კლინსმანს უკვე მაგრად აკრიტიკებენ...**

— დარწმუნებული ვარ, კლუბის პატრონი ასეთ დროს მწვრთნელს არ შეცვლის, მოგვიანებით კი, ალბათ, ამ ვარიანტსაც განიხილავენ. შეუძლებელია, რომ, მაგალითად, „მილანი“ ერთ დღეში ისე შეცვალო, „რეალივით“ ათამაშდეს, ან პირიქით. ყველა დიდ კლუბს მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული საკუთარი ფილოსოფია აქვს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ კლინსმანი ნანობს „ბაიერნის“ მწვრთნელობაზე თანხმობას?**

— ერთხელ ოტო რეჰაგელმა მითხრა: „ვინც „ბაიერნთან“ კონტრაქტზე ხელს აწერს, კარგად უნდა ესმოდეს, რა ელის“.

**— კლინსმანს კარგად ესმოდა, რას აკეთებდა, როცა მარკ ვან ბომელი ძირითად შემადგენლობიდან ამოაგდო?**

— სათადარიგოებში მყოფი კაპიტანი ვერ შეასრულებს იმ როლს, რომელიც ეკისრება. ვან ბომელი თავის ფუნქციებში უკვე შეზღუდულია.

**— წარმოგიდგენიათ, რომ „ბაიერნი“ ამ სეზონში ჩემპიონი ვერ გახდეს?**

— ვერ წარმოიდგენია. შეუძლებელია, ასეთი ძლიერი გუნდი ცხრილის თავში არ მოექცეს.

ლიდერებს შორის „ბაიერნზე“ უკეთესები რომ იყვნენ, კიდევ ვიფიქრებდი, რომ საჩემპიონო შანსი არ აქვთ-მეთქი, მაგრამ „ჰოფენჰაიმი“? თქვენ გჯერათ „ჰოფენჰაიმის“ ჩემპიონობის? „ჰამბურგი“, „ვერდერი“ და „შტუტგარტიც“ არ ბრწყინავენ სტაბილურობით და თუ ერთხელ „ბაიერნი“ კონკურენტების წაფორხილებით ისარგებლებს, მერე უკვე ველარ დაეწევიან.

**— კლუბში დაბრუნებაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— ბალახის მომვლელად? არა, ამაზე არ მიფიქრია. მით უმეტეს, ახლა ძალიან დაკავებული ვარ და „ბაიერნის“ ამბებსაც ყოველდღიურად ვერ ვეცნობი.

# ინგლისელთა მონტაჟის ვარიანტები

**საინტერესო** რამ გახდა ცნობილი: ინგლისის ნაკრების იტალიელი თავკაცი ფაბიო კაპელო შაბათს, ყაზახეთთან შეხვედრაში სტივენ ჯერარდსა და ფრენკ ლამპარდს ერთად თამაშის ბოლო შანსს მისცემს.

როგორც ჩანს, კაპელოსთვის ამ ნახევარმცველების შეთამაშება მნიშვნელოვანია. მწვრთნელს ძალიან უნდა, ლივერპულელმა და ჩელსელმა მოედანზე საერთო ენა გამონახონ და საამისოდ მუშაობს კიდეც, მაგრამ გამოვა თუ არა ამ საქმიდან რამე, ჯერჯერობით არავინ იცის.

როგორც ინგლისური პრესა იტყობინება, კაპელო ლამპარდსა და ჯერარდს ერთობლივი მოქმედებების გენერალურ რეპეტიციას ხვალ, ხუთშაბათის ვარჯიშზე მოუწყობს. ამ დღეს იტალიელი მწვრთნელი თავის ფეხბურთელებს მაქსიმალურად დატვირთავს და თუ ყველაფერმა ისე იმუშავა, როგორც მას სურს, შაბათს, მართალია, სუსტ მეტოქესთან, მაგრამ სამაგიეროდ, ოფიციალურ შეხვედრაში გადაამოწმებს ყველაფერს.

შეგახსენებთ, რომ წინა ჯერზე, ანდორასა და ხორვატიასთან ჯერარდმა საზარდულის ოპერაციის გამო ვერ ითამაშა, ლამპარდის მეწყვილე [illegible] ფეხბურთელი [illegible] და [illegible] ინგ[illegible] გამარჯვება[illegible], გადამწყვეტი როლი სწორედ ამ წყვილის ეფექტურმა მოქმედებამ ითამაშა.

ერთი სიტყვით, თუ ლამპარდ-ჯერარდის დუეტმა ვერ გაამართლა, კაპელო უალტერნატივოდ მაინც არ რჩება, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: ჯერარდი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია საიმისოდ, რომ გვყავდეს და არ ათამაშო. და ლამპარდი?... არა, მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა, უბრალოდ, გამორიცხულია, ჩელსელი ჩინებულ ფორმაში გახლავთ. ერთი სიტყვით, ყაზახეთთან, როგორც ჩანს, ბერის მოუწევს დასვენება.

თუმცა, არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც ციფრებში ასე გამოისახება: 4-3-3 და ამ განლაგებაში, ბერი საყრდენია, ლამპარდი და ჯერარდი კი წინ არიან აწეულები.

ზოგი მიმომხილველის ვარაუდით, კაპელოს, მითუფრო ახლა, როდესაც ჯო კოული დაშავებულია, ოთხკაციან ნახევარდაცვაში ჯერარდის მარცხნივ გაწევის მოსაზრებაც არ აძლევს მოსვენებას, მაგრამ ზოგადად, ლივერპულელი ცენტრში უფრო ეფექტურია და ეს ყველამ კარგად იცის.



სტივენ ჯერარდი და ფრენკ ლამპარდი

**პაატუნა ძედია**

# სპალეტი ხელშეუხებელია



**იტალიურმა** „რომამ" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო. ბოლო წლებში „ჯალოროსი" სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი იყო, ახლა კი მე-14 ადგილზეა. მიუხედავად იმისა, ჩემპიონატი ახლახან დაიწყო, ეს შედეგი „მგლების" ულტრასებს და არამარტო მათ, გულზე ნამდვილად არ ეხატებათ და ლუჩანო სპალეტის გადაყენებაზეც კი დაიწყო საუბარი.

არადა, „რომას" ბოლოდროინდელი წამრატებები სწორედ სპალეტის უკავშირდება. თავხოტორა სპეციალისტი მცირე რესურსით ახერხებდა კარგი შედეგის მიღებას, მაგრამ ზოგს გაუჩნდა კითხვა — იქნებ სპალეტის შესაძლებლობები ამოიწურა? თუმცა კლუბის პრეზიდენტმა როზელა სენსიმ კატეგორიულად განაცხადა, რომ მწვრთნელს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

„ეს რთული მომენტია, რომელიც ერთად უნდა დავძლიოთ. ადვილი არ არის, გამარჯვებას შეჩვეული ხალხისთვის ამგვარ შედეგებთან შეგუება. თუმცა „რომა" ერთი დიდი ოჯახია, მწვრთნელის მოხსნაზე საუბარიც არ არის და კარლო ანჩელოტის მოყვანაც არავის გაუფიქრებია. ხოლო მათ, ვინც სპალეტის მხარს არ დაუჭერს, გუნდის დატოვება მოუწევთ. ფრანჩესკო ტოტი? არ ვიცი, როდის დაუბრუნდება მინდორს, მაგრამ ვფიქრობ, ეს მალე მოხდება" — თქვა სენსიმ.

„რომას" სერია A-ს მომავალ ტურში, 19 ოქტომბერს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის — „სტადიო ოლიმპიკოს" „ინტერი" სტუმრობს და ცხადია, დედაქალაქელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ეს შეხვედრა არ წააგონ.

„ჯალოროსის" ლიდერმა და კაპიტანმა ტოტიმ ვერა და ვერ მოიშუშა ტრავმა, თუმცა ახლა იგი ნამდვილად ახლოსაა სრულად მომჯობინებასთან და დიდი იმედი აქვს, რომ „ინტერთან" თამაშისთვის უკვე მწყობრში იქნება.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ლუჩესკუ დაიღალა

**დონეცკის** „შახტარის" მთავარმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ განაცხადა, რომ მომავალი წლის იანვრიდან ამ კლუბში აღარ იმუშავებს.

| 21:15 | 791 | ფლენსბურგი(გერ)-ჰაუკარი(ისლ) | 1.01 | 20.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 10.00 |
| 19:00 | 837 | ჩეხ მედვ(-1.5)-პორტლანდი(1.5) | 1.90 | 1.70 | | | | |
| 19:00 | 838 | ჩეხ მედვ-პორტლანდი 62,5 | 1.80 | 1.80 | | | | |
| 19:00 | 839 | ჩეხ მედვ-პორტლანდი(წყ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 21:15 | 840 | ფლენსბურგი(-13.5)-ჰაუკარი(13.5) | 1.80 | 1.80 | | | | |
| 21:15 | 841 | ფლენსბურგი(გერ)-ჰაუკარი(ისლ) 59,5 | 1.80 | 1.80 | | | | |
| 21:15 | 842 | ფლენსბურგი-ჰაუკარი(წყვილი/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| | | ხელბურთი. კაცები. შვედეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 770 | დროტი-ლინდესბერგი | 2.00 | 9.00 | 2.00 | 1.63 | 1.00 | 1.63 |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 742 | ალპლა-შვაცი | 1.15 | 13.00 | 5.50 | 1.05 | 1.00 | 3.86 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:15 | 746 | ჰამბურგი-ფიუხსე | 1.05 | 15.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 22:15 | 747 | ლიოვენი-ბალინგენი | 1.01 | 15.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 7.50 |
| | | ხელბურთი. კაცები საფრანგეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 762 | კრეტეი-შამბერი | 2.60 | 9.00 | 1.55 | 2.01 | 1.00 | 1.32 |
| 22:30 | 763 | პარიზი-ორლა | 1.22 | 12.00 | 4.55 | 1.10 | 1.00 | 3.29 |
| 22:30 | 764 | ტრემბლაი-მონპელიე | 4.80 | 12.00 | 1.20 | 3.42 | 1.00 | 1.09 |
| | | ხელბურთი. კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:35 | 776 | სკიერნი-სვენდბორგი | 1.70 | 8.50 | 2.40 | 1.41 | 1.00 | 1.87 |
| 21:00 | 777 | ფსკ-აიაქსი | 1.03 | 15.00 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 7.74 |
| 21:30 | 778 | ვიბორგი-ნორდსელანდი | 1.15 | 13.00 | 7.00 | 1.05 | 1.00 | 4.55 |
| 21:30 | 779 | მორსი-ფრედერისია | 2.50 | 9.00 | 1.65 | 1.95 | 1.00 | 1.39 |
| 21:30 | 780 | რინგსტედი-კოლდინგი | 7.50 | 12.00 | 1.10 | 4.61 | 1.00 | 1.00 |
| 22:00 | 781 | სილკებორგი-ორჰუსი | 1.25 | 10.00 | 4.50 | 1.11 | 1.00 | 3.10 |
| | | ხელბურთი. კაცები ნორვეგიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 783 | ნერბიო-რუნარი | 11.00 | 15.00 | 1.04 | 6.34 | 1.00 | 1.00 |
| 20:00 | 784 | ჰასლუმი-სტავანგერი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| 20:30 | 785 | ელვერუმი-სტორდი | 1.07 | 13.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.55 |
| 20:30 | 786 | სანდეფიორდი-ფიულინგენი | 4.50 | 12.00 | 1.20 | 3.27 | 1.00 | 1.09 |



ხუან მანუელ ლოპესმა პონს დე ლეონი მალევე დაანოკაუტა

# ლოპესმა ტიტული დაიცვა

**პირველ** ნახევრადმსუბუქ წონაში ღლესდღეობით ალბათ ნაკლებად მოიძებება ისეთი, ვინც ხუან მანუელ ლოპესს გაუმკლავდება. პუერტორიკოელი მართლაც ძალიან ძლიერ ჩანს, რაც მან ამ უქმეებზეც დაამტკიცა, როცა უიოლესად მოერია სეზარ ფიგეროას.

ლოპესმა WBC-ს ქამარი რამდენიმე თვის წინ მოიპოვა, როცა ვეტერანი დანიელ პონს დე ლეონი პირველივე რაუნდში დაანოკაუტა. ჰოდა, პუერტორიკოელი ახლა პირველად იცავდა ტიტულს და ამასაც ბრწყინვალედ გაართვა თავი — მან ისევ პირველ სამწუთეულში იხეირა და ფიგეროას მხოლოდ 47 წამი დაახარჯა.

ლოპესის ანგარიშზე უკვე 23 მოგებაა, აქედან 21 ნოკაუტით. მარცხის გემო კი ამ ბიჭს ჯერ ერთხელაც არ უგემია.

**კახა ლომაშვილი**

# გამბოამ მოიგო და წაიტრაბახა

**წარმატებით** აგრძელებს პროფესილ რინგზე თავის კარიერას 2004 წლის ათენის ოლიმპიური ჩემპიონი, კუბელი იურიორკის გამბოა. ეს ბიჭი პირველ მსუბუქ წონაში გამოდის, უკვე საკმაო სახელიც მოიხვეჭა და დიდი შანსია, მალე რომელიმე ქამრისთვის ბრძოლის პრეტენდენტი გახდეს.

გასულ უქმეებზე კუბელი ამერიკელ მარკოს რამირესს ხვდებოდა და მას უკვე მეორე რაუნდში მოუთავა საქმე. თუმც „თავისუფლების კუნძულის" წარმომადგენელს მაინც საკმაოდ გაუჭირდა, რადგანაც პირველ რაუნდში ის ნოკდაუნში აღმოჩნდა. გამბოა თავიდანვე გაცხარებული ეტაკა მეტოქეს და თავისვე აქტიურობამ კინაღამ იმსხვერპლა, როცა რამირესის კონტრ-დარტყმას წამოეგო და ფიცარნაგზე გაიშხლართა.

თუმც კუბელმა მოახერხა წამოდგომა და ბრძოლა იმავე სტილში გააგრძელა, რამაც შედეგი მალევე გამოიღო — მეორე რაუნდი ახალი დაწყებული იყო, რომ უკვე რამირესს მოუწია რინგზე გაშოტვა. ამერიკელი კი წამოდგა, მაგრამ გამბოამ გონზე მოსვლა აღარ აცალა და ოთხდარტყმიანი კომბინაციის შემდეგ მეტოქე კიდევ ერთხელ წააქცია. ამჯერად რამირესი ათ დათვლამდე ვეღარ ადგა და რეფერიმაც კუბელს ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

„სამოყვარულო კრივში მიღწევები და პირველი წარმატებები პროფესიულ რინგზე ნათლად მეტყველებს ჩემს სიძლიერეზე. კარგად ვიცი, რომ მეტოქეს ერთი გემრიელად თუ მოვარტყი, მერე ვეღარსად გამექცევა" — ამაყად განაცხადა გამბოამ ბრძოლის შემდეგ პრეს-კონფერენციაზე.

**კახა ლომაშვილი**

# მარტინესის დროებითი ჩემპიონობა



სერხიო მარტინესი

**პირველ** საშუალო წონაში WBC-ს ვერსიით დროებითი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 33 წლის არგენტინელმა სერხიო მარტინესმა, რომელიც კონგოელ ალექს ბუნემას მოერია. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში აფრიკელმა რუს რომან კარამზინს მოუგო და ეს ქამარიც მაშინ გათავისუფლდა.

არგენტინელის დამარცხების შემთხვევაში ბუნემა საბოლოოდ გაინაღდებდა საჩემპიონო ტიტულს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — უფრო სწრაფი მარტინესი თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და აფრიკელი უკვე მესამე რაუნდში დაანოკდაუნა. ბუნემა კი წამოდგა, მაგრამ უპირატესობას მაინც სამხრეთამერიკელი ფლობდა.

აფრიკელის წვალებამ მერვე რაუნდამდე გასტანა — ამ დროისთვის ბუნემას სახე ფარშად ქცეოდა და რეფერიმაც ექიმის რეკომდენაციით ბრძოლა დასრულებულად გამოაცხადა, მარტინესს კი ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

უკვე დაიწყეს ლაპარაკი მარტინესის მომდევნო მეტოქეზე. ეს სავარაუდოდ ვერნონ ფორესტი უნდა იყოს, რომელიც WBC-ს ტიტულის აუცილებელი პრედენდენტია. თუმც შესაძლოა, ეს ბრძოლა არ შედგეს, რადგანაც ამას წინათ ფორესტმა ამაყად განაცხადა, რომ არ აპირებს ასაკოვან და მომავლის არ მქონე მოკრივეებთან ბრძოლას. ამერიკელმა სავარაუდოდ ამ კატეგორიაში მარტინესიც იგულისხმა.

მეორეს მხრივ კი, თუ ბრძოლაზე უარს იტყვის, ფორესტი ქამარზე ყოველგვარ პრეტენზიას დაკარგავს, არგენტინელი კი დროებითიდან სრულუფლებიან ჩემპიონად გადაიქცევა.

**კახა ლომაშვილი**



# ვერაობა მოსკოვში

**ამ** კვირას საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება მოსკოვისკენ იქნება მიპყრობილი, სადაც ერთდროულად კაცთა და ქალთა ტურნირები იმართება. მიუხედავად იმისა, რომ ორივეგან საკმაოდ სერიოზული საპრიზოა დაწესებული, კაცთა შეჯიბრი ვარსკვლავთა სიმრავლით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის — იქ ძირითადად მასპინძელი ბობოლები არიან თავმოყრილნი. სამაგიეროდ, ქალთა ტურნირზე თანამედროვეობის ყველა საუკეთესო მეჩოგნე შეიკრიბა, ოღონდ, იმათ გარდა, ვინც რუსეთში ჩასვლა ტრავმების გამო ვერ მოახერხა. ასეთები კი მხოლოდ ორნი არიან, მარია შარაპოვა და სერენა უილიამსი.

სწორედ ამიტომ ქალთა კრემლის თასის მიმოხილვით დავიწყოთ, სადაც მართალია, ბევრი ჯერ არაფერი მომხდარა, მაგრამ საქმეში უკვე ვნახეთ ტოპოცეულის რამდენიმე წარმომადგენელი.

მოიგო მსოფლიოს მეოცე ნომერმა დომინიკა ციბულკოვამ, რომელიც თავისზე ხუთი საფეხურით წინ მდგომ მარიონ ბარტოლის მოერია. სლოვაკი პირწმინდად ამარცხებდა მეტოქეს (6:1 4:1), როცა ფრანგმა ბრძოლის გაგრძელება უაზრობად ჩათვალა და ფეხის ტრავმის მომიზეზებით შეხვედრა ნაადრევად დაასრულა.

ბოლო თვეების განმავლობაში თავისთვის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში მოიგო ამელი მორესმომ. ფრანგს მეტოქედ ახალგაზრდა თანამემამულე ალიზ კორნე ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი წლეულს ამელიზე გაცილებით უკეთ თამაშობს, გამარჯვება მაინც უფრო გამოცდილს დარჩა. თუმც მორესმომ წარმატებას დიდი ძალა შეალია და კორნე მხოლოდ ორსაათანახევარში გატეხა.

წარმატებით დაიწყო ტურნირი ორმა ვერამ — ზვონარიოვამ და დუშევინამ. პირველის მარია კირილენკოსთან გამარჯვება არავის გაჰკვირვებია. აი, დუშევინას მიერ ნიკოლ ვაიდიშოვას გასილაქება კი ფრიად მოულოდნელი გახლდათ. წლეულს ჩეხი მართლაც ამაზრზენად გამოიყურება და სულ უფრო ხშირად მარცხდება საწყის წრეებში, მაგრამ დუშევინა მაინც კლასით ნიკოლზე გაცილებით დაბალი მეჩოგნეა. თუმც ვერა საკუთარი ტრიბუნების წინ თამაშმა ფრიად შეაგულიანა, თანაც გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და ამ გამარჯვებით საკუთარ თავს კარგი საჩუქარიც გაუკეთა.

ახლა კი კაცების ტურნირებს მივხედოთ, რომლებიც ამ კვირაში სამ ქალაქში არიან გადანაწილებულნი — მოსკოვის გარდა ჩოგბურთელები სტოქჰოლმსა და ვენაშიც გაარჩევენ ურთიერთობებს, თუმც ქალთაგან განსხვავებით, აქ ბობოლათა დიდი ნაწილი ისვენებს. ეტყობა, ისინი მომავალ კვირას მადრიდში დასაწყებ წლის ბოლოსწინა მასტერსისთვის ემზადებიან.

დავრჩეთ მოსკოვში, სადაც მომხდარიდან პირველ რიგში მეორე ნომრად განთესილ იგორ ანდრეევის მოგებაა გამოსაყოფი. რუსს ტაივანელმა იენ-ჰსუნ ლუმ მხოლოდ სეტი გაუძლო, მერე კი ფარ-ხმალი დაყარა და გასახდელს მიაშურა. ანდრეევი კი, რომელიც ტურნირის 2005 წლის ჩემპიონია, წლეულსაც სერიოზულად უმიზნებს ტიტულს.

ავღნიშნოთ იანკო ტიპსარევიჩის წარმატებაც, რომელსაც ახალგაზრდა ალექსანდრ კუდრიავცევის მოსარევად ბლომად ოფლის ღვრა დასჭირდა. გამოცდილმა სერბმა ახალგაზრდა მეტოქეს სამი სეტი შეალია და ბოლოს მხოლოდ ტაიბრეიკზელა მოუღო ბოლო.

ვენაში კი ესპანელთა კარგი სტარტია გამოსაყოფი. მოიგეს ფერნანდო ვერდასკომა და ხუან-კარლოს ფერერომ. პირველმა ნერვაუტოკებლად დასცა რუმინელი ვიქტორ კრივოი და შემდეგ წრეში გილერმო კანასს დაეტაკება, რომელმაც პეკინის ოლიმპიადის შემდეგ პირველი იხეირა.

ფერერო კი ივო კარლოვიჩს საათანხავარში გაუმკლავდა. აყლაყუდა ხორვატი ზედიზედ მეორე ტურნირია, პირველ წრეში აგებს და თან ორივეჯერ მარცხი ესპანელისგან იწვნია — მეცში იგი კარლოს მოიამ მიჩოგნა, ახლა კი ფერერომ. ამ ორი წაგებით კარლოვიჩმა ფაქტობრივად ხაზი გადაუსვა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის შანსებს.

სტოქჰოლმური სიახლეებიდან კი უმთავრესი კეი ნიშიკორის მიერ ტურნირის მერვე ნომრის, ესპანელ მარსელ გრანოლიერ-პუიოლის წაქცევა იყო. იაპონელმა სამ სეტში იყოჩალა — 2:6 6:4 6:2.

**კახა ლომაშვილი**



ამელი მორესმო

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უოლდენი შანხაის ლას ვეგასში ასველებს



რიკი უოლდენი

**52 ათასი** გირვანქა და კარიერის უმაღლესი, მე-17 ადგილი სნუკერისტთა წინასწარ რეიტინგში — აი, ასე დაფასდა 25 წლის უელსელის, რიკი უოლდენის სენსაციური;გამარჯვება 2008-09 წლების სეზონის მეორე სარეიტინგო ტურნირზე, შანხაის მასტერსზე.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ კარიერაში პირველი ტურნირი მოვიგე. ეს ტიტული განსაკუთრებით იმით ფასობს, რომ ფინალში თვით რონი ოსალივანს მოვუგე. რა თქმა უნდა, ცოტა გამიმართლა — რონი თითქოს ბოლომდე კონცენტრირებული არ იყო და რამდენიმე ეპიზოდში მან ჩემი შეცდომებით ვერ ისარგებლა. მთავარი იყო, რომ შევძელი სიმშვიდის შენარჩუნება შეხვედრის გადამწყვეტ მომენტში და ამის წყალობით მივაღწიე გამარჯვებას — ხარობდა შანხაის ტურნირის მოულოდნელი ტრიუმფატორი — იმედი მაქვს, რომ ამაზე არ გავჩერდები და ელიტარულ სნუკერისტთა ჯგუფში, ტოპ-თექვსმეტეულში შევალ. თუმც, ეს სამომავლო საქმეა, ახლა კი ამ გამარჯვების აღნიშვნას ვაპირებ და საამისოდ ლას ვეგასში მივდივარ".

კაზინოების ქალაქში გასართობად უოლდენს დიდი დრო ნამდვილად არ აქვს. უკვე 10 ოქტომბერს შოტლანდიაში მორიგი სარეიტინგო ტურნირი, „დიდი პრიზი" იწყება და იქ პირველ წრეში რიკი თავის თანამემამულე რაიან დეის ხვდება.

დიდად უკმაყოფილო არც ოსალივანი ჩანდა. რონის შეეძლო გამხდარიყო ბოლო 15 წელიწადში ზედიზედ სამი სარეიტინგო ტურნირის მომგები პირველი სნუკერისტი, მაგრამ არც ზედიზედ სამი ფინალია ურიგო შედეგი. გადამწყვეტ შეხვედრაში „რაკეტა" ცოტა გადაღლილი ჩანდა სტივ მაგუაერთან ჩატარებული ფანტასტიკური ნახევარფინალის შემდეგ. მაგუაერთან მატჩში რონიმ თითქმის იდეალური თამაში აჩვენა და ორი დიდებული, 141 და 145-ქულიანი ბრეიკი გააკეთა. სნუკერის ინგლისელი ჯადოქარი ფინალშიც ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალები აღარ ეყო. იბრძოლა, თუმც დამარცხდა და ამაში სათაკილო არაფერია, მით უმეტეს, რომ რონი უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობს სნუკერისტთა როგორც ოფიციალურ, ისე წინასწარ რეიტინგს და ძნელი სავარაუდოა, უახლოეს მომავალში მას ვინმე დაეწიოს.

მორიგი სარეიტინგო ტურნირი, როგორც ვთქვით, უკვე 10 ოქტომბერს დაიწყება შოტლანდიაში. შარშან „დიდი პრიზი" ჰონკონგელმა მარკო ფუმ მოიგო, როდესაც ფინალში ოსალივანი დაამარცხა. რა მოხდება წლეულს, ამას სულ მალე გავიგებთ, მანამდე კი სნუკერისტთა ოფიციალურ და წინასწარ რეიტინგებს გთავაზობთ.

| ოფიციალური რეიტინგი | |
|---|---|
| 1. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 51150 |
| 2. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 45525 |
| 3. შონ მერფი (ინგლისი) | 45050 |
| 4. მარკ სელბი (ინგლისი) | 38325 |
| 5. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 37925 |
| 6. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 34275 |
| 7. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 34175 |
| 8. რაიან დეი (უელსი) | 33875 |
| 9. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 32975 |
| 10. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 32950 |
| 11. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 32194 |
| 12. ჯო პერი (ინგლისი) | 30925 |
| 13. გრემ დოტი (შოტლანდია) | 27144 |
| 14. მარკო ფუ (ჰონკონგი) | 27000 |
| 15. მარკ კინგი (ინგლისი) | 26000 |
| 16. მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია) | 25725 |
| 17. მეტიუს სტივენსი (უელსი) | 25413 |
| 18. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 25119 |
| 19. ჯეიმი კოუპი (ინგლისი) | 24744 |
| 20. ჯო სვაილი (ირლანდია) | 24725 |

| წინასწარი რეიტინგი | |
|---|---|
| 1. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 38700 |
| 2. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 31675 |
| 3. მარკ სელბი (ინგლისი) | 25150 |
| 4. შონ მერფი (ინგლისი) | 25100 |
| 5. რაიან დეი (უელსი) | 23825 |
| 6. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 22325 |
| 7. ჯო პერი (ინგლისი) | 22050 |
| 8. მარკო ფუ (ჰონკონგი) | 21275 |
| 9. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 19925 |
| 10. მარკ უილიამსი (უელსი) | 19500 |
| 11. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 18300 |
| 12. მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია) | 18150 |
| 13. დეივ ჰეროლდი (ინგლისი) | 18144 |
| 14. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 17269 |
| 15. სტიუარტ ბინემი (ინგლისი) | 17250 |
| 16. ბარი ჰოუკინსი (ინგლისი) | 16875 |
| 17. რიკი უოლდენი (უელსი) | 16375 |
| 18. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 16375 |
| 19. მარკ კინგი (ინგლისი) | 16275 |
| 20. ჯეიმი კოუპი (ინგლისი) | 16169 |

ველორბოლა



ლეონარდო პიეპოლი



შტეფან შუმახერი

# გამოCERAვებულები

## პიეპოლი და შუმახერი დოპინგზე ჩავარდნენ

**ველოსამყაროში** მორიგი დოპინგსკანდალი აგორდა. აკრძალული პრეპარატების მიღებაში ბრალს საკმაოდ ცნობილ, შეიძლება ითქვას, ელიტარულ მრბოლებს, გერმანელ შტეფან შუმახერსა და ვეტერან იტალიელ ლეონარდო პიეპოლის სდებენ.

შუმახერი და პიეპოლი ახალი თაობის ერითროპოეტინის, CERA-ს მომხმარებლები ყოფილან. გერმანელსაც და იტალიელსაც დოპინგსინჯები წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე" აუღეს და როგორც ამბობენ, პიეპოლის შემთხვევაში, სულაც ორმა ანალიზმა აჩვენა დოპინგზე დადებითი შედეგი.

შეგახსენებთ, რომ შუმახერი გერმანული „გეროლშტაინერის" ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო პიეპოლი ესპანური „სონი დიუვალის" ღირსებას იცავდა. „სონი დიუვალის" წევრი იყო მეორე იტალიელი რიკარდო რიკოც, ვინც დოპინგზე ასევე „ტურის" მსვლელობისას ჩავარდა და მოგვიანებით ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

ამ სამმა (შუმახერი, რიკო, პიეპოლი) ფრანგულ სუპერრბოლაზე ჯამში ხუთი ეტაპი მოიგო და ვარაუდობენ, რომ შუმახერიცა და პიეპოლიც რიკოს ბედს გაიზიარებენ, ანუ ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისჯებიან.

აღსანიშნავია, რომ აწ უკვე თვითლიკვიდირებული გუნდის, „სონი დიუვალის" თავკაცებმა პიეპოლი რიკოს კვალად მოკვეთეს, როგორც მაშინ იყო ნათქვამი, „გუნდური ეთიკის წესების დარღვევისთვის". „სონი დიუვალის" წარმომადგენლები ახლაღა გამოტყდნენ, რომ მიზეზი იტალიელის დოპინგ-ტესტის დადებითი პასუხი იყო.

პიეპოლი პარასკევს წარსდება იტალიის ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო სასამართლოზე, ხოლო შუმახერს რაც შეეხება, გერმანიის ველოფედერაციამ უკვე დაიწყო გამოძიება და ფედერაციის ხელმძღვანელის რუდოლფ შარპინგის თქმით, სასჯელი მაქსიმალურად მკაცრი იქნება.

ავტორბოლა

# უილიამ ჰილის ფავორიტი ჰემილტონია

## ლუისს იაპონიაში წვიმა არ უნდა

**„უილიამ ჰილის"** საბუქმეიკერო კანტორამ მომავალ უქმეებზე იაპონიაში გასამართი დიდი პრიზის წინ მორიგი საჩემპიონო კოეფიციენტები გამოაქვეყნა. ინგლისური ტოტალიზატორის ფავორიტი „მაკლარენ-მერსედესის" მრბოლი ლუის ჰემილტონია, ვის ჩემპიონობაზეც „უილიამ ჰილის" კოეფიციენტი 1,28/1-თან არის.

შეგახსენებთ, რომ ჰემილტონი გენერალურ კლასიფიკაციაში 7 ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ ფელიპე მასას, ვის საჩემპიონო შანსებსაც „უილიამ ჰილი" 3,5/1 კოეფიციენტით აფასებს.

თავად ჰემილტონი უკვე იაპონურ ეტაპზე ფიქრობს და იმედოვნებს, რომ რბოლას წვიმა არ წაახდენს. „ძალიან მომწონს იაპონია. შარშანდელი რბოლა ცუდი ამინდის გამო საკმაოდ რთული გამოვიდა, მაგრამ მე მაინც დიდი სიამოვნება მივიღე მთელი სარბოლო უიქენდისგან. იაპონელები გენიალური ქომაგები არიან, ძალიან ემოციურები, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ზრდილობიანნი. მინდა, რომ მათ წლეულს რბოლისგან სიამოვნება მიიღონ და ამისთვის კი კარგი ამინდიც საჭიროა. თავად ჩემთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რბოლა როგორ ამინდში ჩატარდება. რა თქმა უნდა, ზოგადად მშრალი ტრასა სჯობს, მაგრამ მე დისკომფორტს არც წვიმაში განვიცდი. ამ ჯერზე კი, სწორედ იაპონელი ქომაგების გამო მსურს, რბოლა ავდარმა რომ არ გააფუჭოს" — ბრძანა ლუისმა.

ბაჩა ლომაძე



ლუის ჰემილტონი

# როცა მწვრთნელიც გაკვირვებულია

## ზეგუნებრივი, უბერებელი და სხვა მაგარი ბიჭები

5 ოქტომბერს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მეორედ გახდა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული. ტურნირი იაპონიაში გაიმართა და მასში ჩვენი ნაკრები ოპტიმალური შემადგენლობით კი გამოვიდა, თუმცა ექსპერიმენტებსაც მიმართა. შოთა ხაბარელმა პირველი ნომრები კი წაიყვანა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მისთვის უჩვეულო წონაში გამოდიოდა და ამის გამო პროგნოზების გაკეთება ძნელი იყო. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავა ნესტორ ხერგიანმა, 66 კგ-ში — მინდია ხომიზურმა, 73-ში — ზაზა კედელაშვილმა, 81 კგ-ში — დავით ქევხიშვილმა, 90 კგ-ში — ვარლამ ლიპარტელიანმა, 100 კგ-ში — ირაკლი ცირეკიძემ, ხოლო მძიმე წონაში — ლაშა გუჯეჯიანმა. სათადარიგოები იყვნენ — 100 კგ-ში ლომერ ჟორჟოლიანი და მძიმეში ნოდარ მეტრეველი. საქართველოს ნაკრებმა სამხრეთ კორეის, ბრაზილიისა და უზბეკეთის გუნდები დაამარცხა და დამაჯერებლად იჩემპიონა.

გუშინ ჩვენი დელეგაცია იაპონიიდან ჩამოფრინდა. გამარჯვებულ გუნდს გულშემატკივრებმა დახვედრა მოუწყვეს. ბუნებრივია, შოთა ხაბარელსა და მოჭიდავეებს გავესაუბრეთ.





შოთა ხაბარელი,
ვარლამ ლიპარტელიანი
და დავით ქევხიშვილის
გადამწყვეტი ორთაბრძოლა



— ბატონო შოთა, გამარჯვებას გილოცავთ. როგორ შეაფასებთ თქვენი მოჭიდავეების გამოსვლას მსოფლიოს ჩემპიონატზე?

— ფაქტი ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს. ჩემმა ბიჭებმა უძლიერეს ტურნირში დამაჯერებლად გაიმარჯვეს, მებრძოლი სული გამოავლინეს, გმირობა ჩაიდინეს. თავადაც კი განცვიფრებული დავრჩი მათი ჭიდაობის შემხედვარე. თანაც, ეს ყველაფერი იაპონიაში მოხდა — ძიუდოს სამშობლოში, სადაც ტრადიციულად გუნდები უძლიერესი შემადგენლობებით იყრიან ხოლმე თავს.

— თქვენმა ექსპერიმენტმაც გაამართლა...

— ამის გამო ვნერვიულობდი, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. კედელაშვილმა, ქევხიშვილმა და ცირეკიძემ ჩვეულებრივზე ერთი წონით ზემოთ იჭიდავეს და დავალებას ჩინებულად გაართვეს თავი.

— შედეგიდან გამომდინარე, ყველამ წარმატებით იჭიდავა. მაგრამ განსაკუთრებით ხომ არავის გამოარჩევდით?

— ძნელია ვინმეს გამორჩევა. ალბათ, მაინც ვარლამ ლიპარტელიანს. მის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ იგი ზებუნებრივად ჭიდაობს. მან სამივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, მათგან ერთ-ერთი ბრაზილიელ სანტოსთან, რომელიც ძალიან ნიჭიერი და ძლიერი სპორტსმენია... როგორ არ გამოვარჩიო ნესტორ ხერგიანი. ეს უბერებელი კაცი კვლავაც განაგრძობს ჩემს გაკვირვებას, მანაც სამივე ბრძოლა მოიგო. დავით ქევხიშვილმა კი ჩვენს ნაკრებს ოქროს მედალი მოუპოვა. ცირეკიძემ და კედელაშვილმა თავიანთი პროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. მოკლედ, ყოველი ქულა ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ ნაკრების ყველა წევრს მადლობას ვუხდი შრომისა და თავგანწირვისთვის.

— სათადარიგოების დახმარებაც არ დაგჭირდათ...

— ძირითადი შემადგენლობა ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და ამიტომ გუნდში ცვლილებებს შეიძლება, უარყოფითად ემოქმედა. მეტრეველიც და ჟორჟოლიანიც ბრძოლისთვის იყვნენ მომართულები, მაგრამ მათი ტატამზე გაყვანა რისკთან იყო დაკავშირებული.

*დავით ქევხიშვილი:* უძლიერესი ჩემპიონატი იყო. ყველა გუნდი საუკეთესო შემადგენლობით გამოდიოდა. უძლიერეს მეტოქეებთან მოგვიწია შეხვედრა და სიკვდილის ჯგუფიდან გამარჯვებულები გამოვედით.

— უზბეკ იუარკობილოვთან გადამწყვეტი ორთაბრძოლის შესახებ მოგვიყევი...

— ანგარიში სამით ორი იყო და ჩემი წაგების შემთხვევაში უზბეკები ქულათა მაჩვენებლით ჩემპიონები ხდებოდნენ. შეხვედრა თავიდან ჩემი უპირატესობით დაიწყო, ჯერ იუკო ავუღე, შემდეგ ვაზარი და შემდეგ ორთაბრძოლის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გამჭირვებია.

— რით განსხვავდება გუნდური შეჯიბრება ინდივიდუალურისგან?

— გუნდურსაც და ინდივიდუალურსაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. ამ შემთხვევაში გუნდურზე გეტყვით, რომ თანაგუნდელების განსაკუთრებული მხარდაჭერა დამატებით სტიმულს იძლევა. ასევე, შეიძლება, ერთი შეხვედრა წააგო, მაგრამ შენი თანაგუნდელების გამარჯვებამ ყველაფერი გამოასწოროს.

— ვის გამოარჩევდი ჩვენი ნაკრებიდან?

— ეს ძნელია... ვარლამ ლიპარტელიანმა იბრძოლა ძალიან ეფექტურად.

— მომავალშიც 81 კგ-ში აპირებ გამოსვლას, თუ ჩვეულ წონას დაუბრუნდები?

— წინასწარ რამის თქმა გამიჭირდება. ვნახოთ, გადაწყვეტილებას ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ გამოვიტანთ.

*ვარლამ ლიპარტელიანი:* უზომოდ გახარებული ვარ. ყველა კარგად გამოვედით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

— ტიტულიანი მეტოქეების წინააღმდეგ ხომ არ ინერვიულე, მაინც ასაკით უმცროსი იყავი...

— მიუხედავად ჩემი ასაკისა, უამრავ ტურნირზე მიჭიდავია და ბევრ ტიტულიან მოწინააღმდეგეს შევხვედრივარ. ავტორიტეტების წინააღმდეგ ჭიდაობის არ მეშინია. ერთი ეგ არის, რომ ზოგჯერ მართლაც ვჩქარობ და ამიტომ ვისჯები. ასე მომივიდა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც.

*ზურაბ უსუფაშვილი, ძიუდოს ფედერაციის პრესსამსახურის უფროსი:* ყველანი ბრწყინვალედ გამოვიდნენ, მაგრამ არ შემიძლია, დავით ქევხიშვილი არ გამოვარჩიო. წონაშეცვლილმა არა მარტო ფინალში მოუტანა გუნდს ოქროს მედალი, არამედ ბრაზილიასთან მეტოქე გუნდის ლიდერ კანტოს იპონით მოუგო. ამის შემდეგ ბრაზილიელები გატყდნენ და საქართველოს ნაკრების ძიუდოისტებს მათთან ჭიდაობა გაუადვილდათ.

**ზურაბ მიგრიაული**



### მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ძიუდოში

საქართველო — სამხრეთ კორეა 6:1
60 კგ. ნესტორ ხერგიანი — ჩოი გვანგ-ჰეონი (იპონი)
66 კგ. მინდია ხომიზური — კიმ ჯოო-ჯინი (ვაზარი)
73 კგ. ზაზა კედელაშვილი — იოონ ძი-სეობი (კოკა)
81 კგ. კიმ ჯაე-ბუმი — დავით ქევხიშვილი (იუკო)
90 კგ. ვარლამ ლიპარტელიანი — ჩოი სუნ-ჰო (იპონი)
100 კგ. ირაკლი ცირეკიძე — ჯანგ სუნგ-ჰო (იპონი)
+100 კგ. ლაშა გუჯეჯიანი — კიმ სუნგ-მინი (იპონი)

საქართველო — ბრაზილია 5:1
60 კგ. ხერგიანი — ჩიბანა (იპონი)
66 კგ. ლოურენსო — ხომიზური (იპონი)
73 კგ. კედელაშვილი — პენალბერი (ფრე)
81 კგ. ქევხიშვილი — კანტო (იპონი)
90 კგ. ლიპარტელიანი — სანტოსი (იპონი)
100 კგ. ცირეკიძე — ლეიტე (იპონი).
+100 კგ. გუჯეჯიანი — სანტოსი (იუკო).

საქართველო — უზბეკეთი 4:2
60 კგ. ხერგიანი — სიბიმრხევი (იუკო)
66 კგ. შარიპოვი — ხომიზური (იპონი)
73 კგ. კედელაშვილი — კორგანოვი (იპონი)
81 კგ. ქევხიშვილი — იურაკობილოვი (ვაზარი)
90 კგ. ლიპარტელიანი — ნაბიევი (ვაზარი)
100 კგ. ცირეკიძე — კურბანოვი (ფრე)
+100 კგ. ტანგრიევი — გუჯეჯიანი (იპონი)

სხვა შეხვედრები
ბრაზილია — იაპონია 3:2
უზბეკეთი — ახ. ზელანდია 7:0
რუსეთი — ალჟირი 7:0
უზბეკეთი — რუსეთი 4:3
რუსეთი — იაპონია 4:3
ბრაზილია — ალჟირი 7:0

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღე პირველი: მოსალოდნელი

**თბილავიამშენი 136:74 მაკაბი**
**29:16 35:15 28:23 44:20**

**თბილავიამშენი:** ა. ბოისა (22), კივმსაძე (14), ნაცვლიშვილი (25), მათიაშვილი (20), პირველაშვილი (3), მინაშვილი (14), ნიკოლაძე (15), ს. შერმადინი (6), ბერაია (4), ი. ბერიშვილი (7), ნინიაშვილი (6)
**მაკაბი:** პატარაია (25), ბიბილური (8), ლონდარიძე (16), ივანეიშვილი (5), გოკილაძე (15), ანთაძე (3), ჩლაიძე (2)
**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**დინამო 79:75 ნტდ**
**11:16 19:13 20:24 29:22**

**დინამო:** გ. ბარბაქაძე (7), ნანიტაშვილი, სორდია (8), ლაფანაშვილი (18), დოლიძე, სიგუა (9), ბააკაშვილი (3), ბოლქვაძე (6), ხანიაშვილი (4), კორკოტაძე (11), ხიზანიშვილი (9), გემაზაშვილი (3)
**ნტდ:** ტეტელაშვილი, ჩიტაშვილი (10), ფაშაევი (12), სარიევი (11), ნიფტალიევი (6), მამაცაშვილი (2), სუხიშვილი (4), როდუმტა (12), კოლუაშვილი, კეიდია, ბაკშიევი (18)
**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ენერჯი-ინვესტი 94:66 თსუ**
**18:12 19:18 30:13 27:21**

**ენერჯი-ინვესტი:** გამყრელიძე (13), ბაბიაშვილი (15), ლეჟავა (5), დიდია (10), სეკვავა (5), ტულუში (15), უგრეხელიძე (10), არწივიძე (8), ტუჯანი (4), ჭოჭუა (9)
**თსუ:** დ. ბერიშვილი (9), გაფრინდაშვილი (5), გ. ბარბაქაძე (4), კოხრეიძე (2), სანიძე (19), მარკოიშვილ (11), ყველაშვილი (1), ხეცურიანი (4), ახალკაცი (2), დ. ბარბაქაძე (9)
**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**დუდუ დადიანის** ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის პირველი საშეჯიბრო დღე სენსაციების გარეშე დასრულდა რუსთავის საკალათბურთო დარბაზში.

მოიგო ყველა იმ გუნდმა, რომელთაგანაც ეს მოსალოდნელი იყო.

დღე „თბილავიამშენისა" და „მაკაბის" დაპირისპირებით გაიხსნა. რამდენიმე მაღალი კლასის მოთამაშით გაძლიერებულმა ლევან მოსეშვილის გუნდმა მეტოქეს გაკვეთილი ჩაუტარა.

„ავიატორების" რიგებში ბრწყინვალედ ითამაშეს საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა და ანატოლი ბოისამ. პირველმა 25, ხოლო მეორემ 22 ქულით დიდწილად განაპირობა გუნდის გამარჯვება.

თუმც ეს მოგება ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან „მაკაბი" ძალიან გადახალისებული და, რაც მთავარია, გაახალგაზრდავებული შემადგენლობით გამოდის ამ ტურნირზე. ახალგაზრდა მოთამაშეებს კი გამოცდილება არ ეყოთ, მეტოქისთვის სერიოზული ბრძოლა გაეწიათ.

საინტერესო და ძალიან დაძაბული გამოდგა ნდგ-სა და „დინამოს" შეხვედრა. ნდგ სულ რამდენიმე დღის შექმნილია და ბუნებრივია, ნუგზარ კანდელაკის აზერბაიჯანელი და ქართველი მოთამაშეები ჯერ შეთამაშებულები არ არიან. ნდგ-ელებს გამარჯვების მიღწევაშიც სწორედ ამან შეუშალა ხელი.

თავის მხრივ, არც „დინამოა" ის გუნდი, რომელსაც შარშან ვუყურებდით. თუმცა „დინამოს" შეთამაშების პრობლემა ნაკლებად აწუხებს და ამის წყალობითაც გაიმარჯვეს პირველ მატჩში.

დღის ცენტრალური თამაში უდავოდ „ენერჯი-ინვესტისა" და თსუ-ს მატჩი იყო. ამ ორ გუნდს, შარშანდელის მსგავსად, სერიოზული გეგმები აქვს.

დავით უსტიაშვილის გუნდი ახლა პირველ რიგში ევროპისთვის ემზადება. მათ უკვე დღეიდან დაემატებიან ლეგიონერები — ორი სერბი და ერთიც ამერიკელი კალათბურთელი. თუმც მანამდე რუსთაველებმა უკვე მოასწრეს პირველი შეხვედრის მოგება, თანაც ისე, რომ სერიოზულ პრობლემებს არც წასწყდომიან. ეს გამარჯვება ძირითადად ძალიან კარგმა გუნდურმა თამაშმა განაპირობა, „ენერჯი-ინვესტს" ხუთ კალათბურთელს დაუგროვდა ათი და მეტი ქულა.

წესით, დღეს ბევრად უფრო საინტერესო შეხვედრები უნდა გამოვიდეს.

**გიორგი არაბული**



ვახტანგ ნაცვლიშვილი „ავიას" 25 ქულით შეეწია

# ზაზას პირველი საგამოფენო

**აშშ-ში** ნბა-ს წინასასეზონო საგამოფენო მატჩები დაიწყო. გუშინ თავისი პირველი შეხვედრა გამართა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა ჰოუქსმა".

ქართველმა კალათბურთელმა ისევე, როგორც გასულ სეზონში, მატჩი ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე დაიწყო. თუმც მას შემდეგ, რაც შეხვედრაში ჩაერთო, თავისი გუნდისთვის საკმაოდ ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა.

ამ სეზონის ბოლოს ზაზას ოთხწლიანი კონტრაქტი უმთავრდება „ატლანტა ჰოუქსთან". აქედან გამომდინარე, წელს მას დიდი ოფლის ღვრა დასჭირდება იმისთვის, რომ „ქორებისგან" დაიმსახუროს ახალი კონტრაქტი, ანაც სხვა, რომელიმე გუნდისგან მიიღოს შეთავაზება.

როგორც პირველმა საგამოფენო მატჩმა დაადასტურა, ფაჩულია საკმაოდ სერიოზულადაა განწყობილი. მან სეზონი კარგად დაიწყო. ახლა მთავარია, გასული წლის მსგავსად, ტრავმებმა არ დატანჯოს და დარწმუნებული ვართ, ის კვლავ დაიბრუნებს ადგილს „ქორების" შემადგენლობაში.



გუშინდელ გამარჯვებაში მთავარი როლი ჯორჯიელების გუნდურმა თამაშმა განაპირობა. მათი შემადგენლობიდან ექვსმა კაცმა შეძლო 10 და მეტი ქულის დაგროვება.

სხვათა შორის, კარგად ითამაშა ფაჩულიას უშუალო კონკურენტმა ელ ფორფორდმა, რომელმაც 13 ქულა, 9 მოხსნა და 4 დაფარება დააგროვა.

**ატლანტა 118:101 ორლანდო**

**ზაზა ფაჩულია:** *19 წუთი, 11 ქულა, 6 მოხსნა, 1 დაფარება, 2 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 5-დან 3 ორქულიანი, 5-დან 5 საჯარიმო.*

**გიორგი არაბული**





ოქსანა კალაშნიკოვა

# ოთხი ქალის ევრო-ამერიკული

**საფრანგეთის** ქალაქ ჟულე-ტურში ამ კვირაში 50 ათას დოლარიან საჩოგბურთო ტურნირზე ქართველი მაკა ჩახნაშვილიც ითამაშებს. მაკა ძირითად ბადეშია განთესილი და პირელ წრეში მეორე ნომრად განთესილ ჩეხ პეტრა ჩეტკოვსკას დაუპირისპირდება, ვინც მსოფლიოს რეიტინგში 84-ე ადგილზეა.

ჩახნაშვილი წყვილებშიც ითამაშებს ესპანელ სოკერო ესპინოსთან ერთად და პირველ წრეში ჩეხ პრადეცკას და რუს კუშნერიოვას გაეჯიბრება.

ეკატერინე გორგოძე კი ბარსელონაში ითამაშებს 10 ათას დოლარიან ტურნირზე. გორგოძე ძირითად ბადეშია და პირველ მეტოქედ იტალიელი ლიზა ტონეტი ჰყავს.

ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში გადავინაცვლოთ, სადაც უკვე თამაშობენ ქართველები. აშშ-ის ქალაქ პიტსბურგში 50 ათასიან ტურნირს სოფო მელიქიშვილი პირველივე წრიდან დაემშვიდობა. მან ტურნირის მე-8 ნომერ ლატვიელ დეკმეიერს ვერაფერი მოუხერხა — 3:6 0:6.

ოქსანა კალაშნიკოვა კი მექსიკაშია სან ლუის პოტოსის 25 ათას დოლარიან ტურნირზე და მასპინძელ სოფია სანჩესს 6:0, 6:1 მოუგო. კალაშნიკოვას მომდევნო მეტოქე ავსტრალიელი იოჰანა კონცა იქნება.

**ნიკა ქოპაძე**



# პატარების აღმოსავლეთი დასავლეთმა გააგრძელა

**საქართველოს** ხელბურთელთა ახალგაზრდულ ჩემპიონატში მეორე ტური მიილია. შეჯიბრი აღმოსავლეთის ოთხმა გუნდმა — „ქარიშხალამ", „გორმა", „ყვარელმა" და „რუსთავმა" დაიწყო ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში. ამის მერე დასავლეთის გუნდების ჯერიც დადგა, რომლებმაც ქუთაისის სპორტის სასახლეში ითამაშეს.

„სამტრედიამ" 33:34 წააგო „ფოთთან", არადა, სამტრედიელები შარშანდელი ჩემპიონები არიან და თანაც ისე მოიგეს, რომ ახლოსაც არავინ გაიკარეს. ეს კი არა, მათ უმაღლეს ლიგაშიც კი სურდათ თამაში. ამის გათვალისწინებით მათი მარცხი მოულოდნელობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

„ქუთაისმა" კი „ბათუმი" დაჩაგრა 27:17.

ეს 6 ოქტომბერს, გუშინ კი „სამტრედიამ" 22:15 მოუგო „ბათუმს", ხოლო „ფოთმა" 40:17 „ქუთაისი" დაამარცხა.

**ნიკა ქოპაძე**



2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

# ეკიპი ბევრი მანქანის ქვეყანაში

საქართველოში ფრანგული „ეკიპის“ ჟურნალისტი ჟან კრისტოფ პოლარი და ფოტორეპორტიორი კრისტოფ კალე იმყოფებიან. მათი მიზანი ომის შემდეგ ქართული რაგბიში არსებული მდგომარეობის გაცნობა და რეპორტაჟის მომზადებაა.

„ეკიპის“ ჟურნალისტები თბილისს 2 ოქტომბერს ესტუმრნენ. მოინახულეს ფოთში აშენებული სარაგბო მოედნები, იმყოფებოდნენ ქუთაისში და ნახეს პირველი ლიგის მატჩი „ქუთაისსა“ და „ფოთს“ შორის. ფრანგებს არც კონფლიქტის ზონა დავიწყებიათ. გორში იყვნენ და დღეს კიდევ ერთხელ ეწვევიან ამ ქალაქს...

გუშინ კი „ლელოს“ ბაზაზე იმყოფებოდნენ და ვარჯიშიც ნახეს. ჟურნალისტებს მასპინძლობას „ლელოს“ მორაგბე ილო მაისურაძე უწევს. ვისი დახმარებითაც ფრანგი ჟურნალისტების შთაბეჭდილებებს გავეცანით.

პოლართან და კალესთან ერთად რაგბის კავშირიდან ჯერ „ლელოს“ ბაზაზე გავემგზავრეთ და გზაში საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა.

ჟან კრისტოფ პოლარი: საქართველოში ჩვენი ჩამოსვლის მიზანი ომის შემდგომი ვითარების გაცნობაა, რომელიც ქართულ რაგბიშია. პირველი შთაბეჭდილებები ისეთია, რომ ქვეყანამ უკვე უკან მოიტოვა მძიმე პერიოდი და ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს. ტარდება ჩემპიონატი ფეხბურთში, რაგბიში... ეს უკვე ძალიან კარგია.

ჟან კრისტოფი საქართველოში მესამედ არის. მისი ფოტორეპორტიორი კი — პირველად. კრისტოფს სწორედ ის ვკითხეთ. თუ როგორი იყო ომამდელი საქართველო და ახლა, ომის შემდეგ, დაინახა თუ არა რაიმე ცვლილება.

— ყოველი ჩამოსვლის შემდეგ სულ უფრო მეტი მანქანა მხვდება — გვიყვება კრისტოფი — საერთოდ კი ისევ ის საქართველო დამხვდა. რაც შეეხება იმას, თუ როგორი გამოხმაურება მოჰყვა ამ ამბებს საფრანგეთში, გეტყვით, რომ ფრანგულ პრესაში ქართულ ამბებს დიდი ადგილი ეკავა. ახლაც ყურადღების ცენტრშია, მაგრამ მაინც მეორე პლანზეა გადაწეული. დღეს მთავარი თემა მსოფლიოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისია.

ამის შემდეგ ისევ სპორტულ ამბებს დავუბრუნდით და კრისტოფმა გვითხრა, რომ აგვისტოს ომის დროს პეკინში იმყოფებოდა და რეპორტაჟიც მოამზადა ქართულ დელეგაციაზე, როდესაც ჩვენი ოლიმპიელების პეკინიდან წამოსვლაზე იყო ლაპარაკი.

მთავარი კი მაინც სარაგბო ამბებია. ფრანგი ჟურნალისტები ქართველ რაგბისტებზე სიამოვნებით ყვებიან და გია ლაბაძეს და დავით ზირაქიშვილს ახსენებენ. მათი თქმით, ქართველები ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით მსოფლიოს თასის შემდეგ მოექცნენ. ფრანგმა გულშემატკივარმა დაიჯერა, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია ტოლ-სწორად ეთამაშოს ბოლოლა ნაკრებებს და დღეს უკვე საქართველოს მსოფლიოში სოლიდურ სარაგბო ქვეყნად თვლიან. მსოფლიოს თასამდე „ეკიპმა“ თავისი რჩეული ნაკრები რომ დაასახელა, მსოფლიოს ვარსკლავთ კრებულში ერთი ქართველიც მოხვდა. სამი ნომრის პოზიციაზე დავით ზირაქიშვილი ყველას ამჯობინეს და ახლაც ერთ-ერთ საუკეთესოდ მიაჩნიათ მსოფლიოში. ისიც ვთქვათ, რომ „ზერაქა“ ფრანგული კლუბების მორაგბეების მიერ შედგენილ ნაკრებშიც მოხვდა.

როგორც ფრანგმა ჟურნალისტმა გვითხრა, საფრანგეთის მსოფლიოს თასის მერე წიგნი დაწერა. „შერკინების შემდეგ“, რომელშიც ერთი გვერდი მთლიანად საქართველოს ეთმობა. მალევე „ლელოს“ ბაზას ვეწვიეთ და გუნდის ვარჯიში ფრანგმა ჟურნალისტებმა მთლიანად ნახეს. ყველა დეტალით ინტერესდებოდნენ, ყველა ნიუანსს აკვირდებოდნენ. ფოტორეპორტიორმა სურათების გადაღება დაიწყო, კრისტოფმა კი „ლელოს“ გასახდელები და ოფისი ნახა და მერე ბავშვებთან ერთადაც გაერთო პასების კეთებით.

ვარჯიშის შემდეგ კრისტოფმა „ლელოსა“ და ნაკრების მოთამაშე სანდრო თოდუასთან გააკეთა ინტერვიუ. სანდრო იმ პრინციპით შეარჩიეს, რომ ის ომის დროს რეზერვისტად იყო.

გეხსომებათ, აგვისტოს მოვლენების დროს საფრანგეთში მოთამაშე ქართველმა რაგბისტებმაც თქვეს, რომ თუ საჭირო იქნებოდა, ქვეყნის დასაცავად წინა ხაზზეც წავიდოდნენ. ესეც იყო იმის წინაპირობა, რომ ფრანგმა ჟურნალისტმა ისეთი მორაგბე შეარჩია რომელიც ნაკრებშიც თამაშობს და ომის დროს წინა ხაზზეც იყო.

დღეს ჟურნალისტები გორს კიდევ ერთხელ ესტუმრებიან, ამჯერად სანდრო თოდუასთან ერთად და იმ ადგილებს გადაიღებენ, სადაც სანდრო იყო. „ეკიპის“ ჟურნალისტები საქართველოს 9 ოქტომბერს დატოვებენ, მანამდე კი ძალიან უნდათ, რომ რაც შეიძლება, ბევრი რამ ნახონ და მოისმინონ...

**ლექსო მაისურაძე**



ჟან კრისტოფ პოლარი



დავით ზირაქაშვილი „კლერმონთან“ საუკეთესოა




მსოფლიოს თასის მერე ფრანგებმა საქართველოს ნაკრებიაღიარეს

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მაგრაძული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge